# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 17 ივლისი. 2019 წ. №143 (8809) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


# სტრასბურგის ევროპულმა სასამართლომ

## 18 ივლისის გადაწყვეტილებით სამი რამ უნდა დაამტკიცოს — ნაციონალთაგან კანონიერი მფლობელისთვის ყაჩაღურად წართმეული „რუსთავი-2“-ის ამჟამინდელ ცრუმფლობელთა უსამართლობა, ქართული მართლმსაჯულების განჩინების სრული სამართლიანობა და თვითონ სტრასბურგის სასამართლოს წყალგაუვალი მიუკერძოებლობა.








...იმედია, ქართული მართლმსაჯულების სამართლიან გადაწყვეტილებას სამართლიანივე შეფასება მოჰყვება სტრასბურგიდან, სადაც, ალბათ, უთუოდ კარგად იციან, როგორც მთელ ევროპაში, რა საშინელ ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას ეწევა ხალხისგან „ცრუსთავი-2“-ად შერაცხილი აშკარად მტრული ნაციონალური ოპოზიციის ეს ბინძური არხი.

დღეს საქართველოში ათიდან ცხრა მოქალაქე იმ აზრისაა, რომ სანამ „ცრუსთავი-2“ იმაუწყებლებს, საქართველოში არც სიმშვიდე იქნება, არც სტაბილურობა და არც ქვეყნის ჯეროვანი განვითარება.

გაერთიანებულ ოპოზიციად შენიღბულ ნაციონალებს მოთმინება არ ჰყოფნით, რომ 2020 წლის არჩევნების იმედად იყვნენ. არც ხვალ და არც ზეგ, დღესვე უნდათ ხელისუფლებაში მოსვლა და „ცრუსთავი-2“-ისთვის უპირველეს მიზნადაც სწორედ ამ „დაბრუნების“ პროპაგანდა აქვთ დასახული. ქართველი ხალხი დარწმუნებულია, რომ ნაციონალთა ხელში ეს მტრულად აყეფებული არხი კვლავ კანონიერ მფლობელს დაუბრუნდება და როგორც ქვეყნის ბედით დაინტერესებულ ოპოზიციას შეეფერება, „რუსთავი-2“-იც ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ იმაუწყებლებს. ამასთანავე, ცხადია, არხი კვლავ შეინარჩუნებს სარედაქციო დამოუკიდებლობას და ოპოზიციურ სულისკვეთებას, ოღონდ ამჯერად უკვე ჯანსაღს და არა ამჟამინდელ მტრულს, სახელმწიფოსთვის ძირის გამომთხრელს.

## ეროვნული მუზეუმის საგანძურს არანაირი საფრთხე არ ემუქრება

**საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებსა და ფონდებში დაცულ საგანძურს არანაირი საფრთხე არ ემუქრება და არც შეიძლება დაემუქროს, რადგან მუდმივად მიმდინარეობს ზრუნვა კოლექციების უსაფრთხოების ნორმების კიდევ უფრო გაუმჯობესებასა და კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლების მოვლა-პატრონობაზე,** — ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის განცხადებაში, რომლითაც „პატრიოტთა ალიანსის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის „ახალგაზრდა პატრიოტების“ აქციას ეხმიანება. როგორც ეროვნულ მუზეუმში განმარტავენ, პროცესი არის გამჭვირვალე და მასში ჩართულია არაერთი დაინტერესებული მხარე.

**„ამჟამად ხელოვნების მუზეუმში მიმდინარეობს რეგულარული სამუზეუმო საქმიანობა — კოლექციების აღრიცხვა-შეჯერების, მონიტორინგისა და გეგმური რესტავრაცია-განახლების პროცესები. სარესტავრაციოდ შერჩეული ნივთის განთავსება ხდება ხელოვნების მუზეუმის სარესტავრაციო ლაბორატორიაში, მისი საჭიროებისამებრ, რესტავრაციის, ფიქსაციის ან გაწმენდის მიზნით.**

**მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების მუზეუმში, ამჯერად დროებითი გამოფენების დარბაზი დახურულია, იმისათვის, რომ დამთვალიერებლისთვის ხელოვნების მუზეუმის კოლექცია იყოს ხელმისაწვდომი, ჩვენი თანამშრომლები პარალელურად აგრძელებენ საგამოფენო საქმიანობას. ხელოვნების მუზეუმის კოლექციები პერიოდულად იფინება ეროვნული მუზეუმის ინსტიტუციაში მყოფ სიღნაღის მუზეუმსა და ეროვნულ გალერეაში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მზადება გამოფენისთვის „ვალერიან სიდამონ-ერისთავი 130“, რომელიც სიღნაღის მუზეუმში 17 ივლისიდან უმასპინძლებს დამთვალიერებელს“,** — აღნიშნულია ეროვნული მუზეუმის განცხადებაში.

## ერი ③ ემიგრაციული სიკვდილის პირისპირ!..





## ვირთხა გიორგი გაბუნიას მონაჩმახის გამო ⑤ ნუ უკბენ იმას, ვისაც შენი შეჭმა შეუძლია



# სპორტის მეშვეობით ჩვენ კიდევ უფრო დავუახლოვდებით ევროპას!

**„საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის სახელით კიდევ ერთხელ, ყველას გილოცავთ — 2021 წლის ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის მასპინძელი საქართველო გახდა. გადაწყვეტილება გუშინ, მიუნხენში, ევროპული კალათბურთის მმართველმა ორგანომ მიიღო.**

სალომე ზურაბიშვილის შეფასებით, ეს არის საქართველოს გამარჯვება და რეალურად ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა ევროპული სპორტული ოჯახის სრულფასოვანი წევრი გახდა. **„სპორტის მეშვეობით ჩვენ კიდევ უფრო დავუახლოვდებით ევროპას“,** — აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი“.

# ავღანეთში დაშავებულ ქართველ სამხედროს ბინა გადაეცა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიასთან ერთად, ავღანეთში მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილეობის დროს მძიმედ დაშავებულ ქართველ სამხედროს ბინა გადასცა.**



უფროსი ლეიტენანტი ივერი ბუაძე, რომელიც აშშ-სა და გერმანიაში მკურნალობის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, თბილისში, სამხედრო ქალაქში იცხოვრებს და საქართველოს თავდაცვის ძალებში იმსახურებს. მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ივერი ბუაძის გმირობას და მის ოჯახს გმირის აღზრდისთვის მადლობა გადაუხადა. პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, გმირი ქართველი სამხედროები სკოლებსა და უნივერსიტეტებში ახალგაზრდებთან შეხვედრებს გამართავენ, რათა მომავალი თაობები მათი თავდადების მაგალითებზე აღიზარდონ.

# მიხეილ ბატიაშვილი: ჩვენი მიზანია, მეტი ინოვაცია, ტექნოლოგიები სკოლებში და ამის პარალელურად კულტურული ფასეულობების დაცვა

როგორც მიხეილ ბატიაშვილმა აღნიშნა, გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს დაემატება გოგებაშვილის „დედა ენა“, რაც ნიშნავს ახალი სასწავლო რესურსის დამატებას.



**„როგორც სხვა ავტორებს აქვთ უფლება, რომ მათი „დედა ენა“ ისწავლებოდეს სკოლებში, ასევე გოგებაშვილს აქვს უფლება, რომ გოგებაშვილის დედა ენაც იყოს სკოლაში, ანუ ეს უბრალოდ ნიშნავს ახალი სასწავლო რესურსის დამატებას. სკოლა თავად აკეთებს არჩევანს არსებულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს შორის — ან გოგებაშვილის „დედა ენას“ გამოიყენებს, ან სხვა სახელმძღვანელოს. ყველაზე მთავარი, რაც არის, ეს არის თავისუფალი არჩევანი სკოლებისთვის, იმ პედაგოგებისთვის, რომლებიც თავად წყვეტენ, რომელი სასწავლო რესურსი გამოიყენონ. თუ ისინი გადაწყვეტენ, რომ უნდა გამოიყენონ პარალელურად გოგებაშვილის „დედა ენა“, ამაში არ მგონია, რამე ცუდი იყოს. დღეს დამისვეს კითხვა, ხომ არ მოხდება „დედა ენით“ „ბუქების“ ჩანაცვლება. „ბუქები“ არა მარტო დაურიგდებათ, არამედ უფრო მაღალი ტექნოლოგიები შევა სკოლებში. გარწმუნებთ, არ ვაპირებთ „ბუქების“ ამოღებას და საბეჭდი მანქანების დაბრუნებას სკოლებში. ჩვენი მიზანია, მეტი ინოვაცია და ტექნოლოგიები სკოლებში და ამის პარალელურად ჩვენი კულტურული ფასეულობების დაცვა“,** — განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.

# ქართული ენის კურსები კუმურდოსა და ფოკის ახალგაზრდებისთვის...

**იუსტიციის სამინისტროს სისტემა ეთნიკური უმცირესობების მეტი ინტეგრაციისთვის ქართული ენის სწავლების საქმეში 2015 წელს ჩაერთო და იუსტიციის მინისტრის ინიციატივით ამ პროცესს დღემდე აგრძელებს. გუშინ თეა წულუკიანმა კუმურდოსა და ფოკაში მცხოვრებ 22 მოსწავლეს ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში უმასპინძლა. 14-დან 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა ქართული ენის შემსწავლელი კურსები გაიარეს. გუშინ კი თეა წულუკიანმა მათ**



**შესაბამისი სერტიფიკატები და სიმბოლური საჩუქრები გადასცა. მინისტრი ახალგაზრდებს სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე ესაუბრა.**

ოთხი წელია, რაცეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების საზოგადოებრივ ცენტრებში იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან“ თანამშრომლობით ადგილობრივი მოსახლეობისთვის ქართული ენის სწავლების სპეციალური კურსები ტარდება. ამ დროისათვის ქართული ენის კურსები იუსტიციის სამინისტროს თანამედროვე ინფრასტრუქტურაში სხვადასხვა მუნიციპალიტეტის უკვე 300-მდე მსმენელმა გაიარა.

# თიანეთი და ახმეტა განახლებული გზით დაუკავშირდება ერთმანეთს

**თიანეთი-ახმეტის 28-კილომეტრიან მონაკვეთზე პროექტით გათვალისწინებულია არსებულ გრუნტის გზაზე სრული რეაბილიტაციის ჩატარება და ასფალტ-ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა. ასევე, შენდება ორი ახალი ხიდი და რეაბილიტირდება ერთი არსებული ხიდი.**

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, პროექტის განხორციელების შემდეგ, თიანეთი და ახმეტა, ნაცვლად არსებული დაზიანებული გზისა, განახლებული და კომფორტული გზით დაუკავშირდება ერთმანეთს. დეპარტამენტის ცნობით, ამ ეტაპზე, ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, მიწის სამუშაოები და წყალგამტარი მილების მოწყობა მიმდინარეობს. პროექტი, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი ღირებულება 18 965 000 ლარია.

# ფრაგმენტები თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომიდან

თბილისის მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დედაქალაქის მერი კახა კალაძე, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე 60-ზე მეტ თანამშრომელს შეხვდა და მათ მადლობა გადაუხადა.

**„ესენი გახლავთ ის ადამიანები, რომლებსაც ამ სისტემაში მუშაობის ყველაზე ხანგრძლივი სტაჟი გააჩნიათ. ისინი ყოველდღიურ რეჟიმში ემსახურებიან თბილისს და თბილისელებს. სამწუხაროა, რომ ამ ადამიანებს არ იცნობს საზოგადოება. მათ არა აქვთ თანამდებობები, ისინი შრომობენ შეუმჩნევლად, გვხვდებიან ყველგან — ქუჩებში, დაწესებულებებში, საბავშვო ბაღებში, სკვერებში, სასწრაფო დახმარების მანქანებში, სახელოვნებო სასწავლებლებში, ბიბლიოთეკებში და ასე შემდეგ. ჩვენ მათგან ვიღებთ რჩევებს, სხვადასხვა სერვისებს, ვანდობთ ჩვენს პატარებს და საკუთარ სიცოცხლესაც კი. და მაინც, ჩვენ მათ არ ვიცნობთ. არ იცნობს საზოგადოება. არ ვიცი, რომელ მათგანზე შევაჩერო ყურადღება. ისინი საოცარი ბიოგრაფიის ადამიანები არიან. მათი ისტორიები უნიკალური და გამორჩეულია. თითოეული მათგანი არის მაგალითი პატიოსნების, შრომის, ნიჭიერებისა და კეთილსინდისიერების.**

**მინდა თითოეულ მათგანს გადავუხადო ძალიან დიდი მადლობა.**

**ჩვენ ძალიან ბევრ, მნიშვნელოვან პროექტს ვახორციელებთ, რომლითაც ამაყობს თითოეული თბილისელი, თითოეული ჩვენგანი და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, არის თქვენი დამსახურება და ზუსტად თქვენნაირ ადამიანებზე გადის მათი მომზადება და განხორციელება“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

* * *

**როგორც თბილისის მერმა ხაზგასმით აღნიშნა, თბილისის მერია სპორტსმენებს, სპორტის 21 სახეობაში შესაბამისი ინვენტარითა და ეკიპირებით უზრუნველყოფს.**

მისი თქმით, პროგრამის ფარგლებში, სოციალური მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებული სპორტული კლუბები და ფედერაციები დაფინანსებას მიიღებენ.

**„სპორტი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება ჩვენთვის. თბილისის მერია უკვე მეორედ ახორციელებს სპორტის მხარდაჭერის პროგრამას, რომელიც გულისხმობს სპორტის 20-ზე მეტ სახეობაში სპორტსმენების ეკიპირებით უზრუნველყოფას. ამ ადამიანებს სჭირდებათ მუდმივი მხარდაჭერა ჩვენგან და დედაქალაქის მერიაც მზად არის, მათ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი. თბილისის მერია შარშანაც ძალიან აქტიურად ახორციელებდა სპორტულ პროექტებს და მხარს უჭერდა სპორტსმენებს. ეს მიდგომა გრძელდება და ასე იქნება მომდევნო წლების განმავლობაშიც“,** — განაცხადა კახა კალაძემ.




როგორც მთავრობის სხდომაზე გახდა ცნობილი, ვარკეთილის მესამე მიკრორაიონში მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი აშენდება.

დედაქალაქის მერის თქმით, ცენტრის მშენებლობას დაახლოებით 11 მილიონი ლარი დასჭირდება.

**„ჩვენ ვიწყებთ კიდევ ერთ ახალ პროექტს — მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობას ვარკეთილის III მიკრორაიონში, 319-ე კორპუსის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან. ჩემი წინა საარჩევნო დაპირება იყო სწორედ მსგავსი კომპლექსების მშენებლობა, სადაც იქნება საჭიდაო, სატრენაჟორო დარბაზები, საცურაო აუზები, მედიათეკა, ბიბლიოთეკები, საფეხბურთო, საკალათბურთო მოედნები. საზოგადოებრივი ცენტრები თბილისის ათივე რაიონში აშენდება. წელს უკვე პირველი პროექტის განხორციელებას ვიწყებთ“,** — განაცხადა კახა კალაძემ.



# ერი ემიგრაციული სიკვდილის პირისპირ!..

**უცხოეთში მყოფი ქართველების ტრაგედიები გრძელდება. ამ რამდენიმე დღის წინათ ათენში ქართველი ემიგრანტი საავადმყოფოს ფანჯრიდან გადახტა და გარდაიცვალა.**

**50 წლის ქართველი ქალბატონი საავადმყოფოში ექთნად არალეგალურად მუშაობდა და პაციენტების მოვლაში ერთ ღამეში 30 ევროს იღებდა. როდესაც იგი მიხვდა, რომ არალეგალების გამოსავლენად მის საავადმყოფოში მაკონტროლებლები მივიდნენ, ქართველ ქალს ძალიან შეეშინდა, არ იცოდა, სად წასულიყო და კონტროლისგან თავის არიდება მარტივი ხერხით სცადა. უცებ ფანჯრიდან გადახტა, ეგონა, გადარჩებოდა, რადგან პირველ სართულზე იყო, მაგრამ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა და ქალბატონი დაიღუპა.**

საბერძნეთის შესაბამის უწყებებში აცხადებენ, რომ საავადმყოფოებმა შესაბამისი ზომები უნდა მიიღონ, რათა პაციენტების მოსავლელად უცხო ქვეყნის ადამიანები არ დაიქირავონ. ეს ნიშნავს, რომ კიდევ ბევრი ქართველი არალეგალი დაკარგავს სამუშაოს. საბერძნეთის მსგავსად, ასეთივე მდგომარეობაა სხვა ევროპულ ქალაქებშიც.

**„რა მინდა საქართველოში?!“** — ეს კითხვა საკუთარ თავს, ალბათ, 25 ათასზე მეტმა ქართველმა დაუსვა, რომლებიც საფრანგეთში კარვებში, მანქანებში, საავადმყოფოებში ცხოვრობენ და თავშესაფარს ელოდებიან. მარტო სტრასბურგში 25 ათასი ქართველია ჩასული. მონპელიეს შემდეგ კარვების „ქალაქი“ სტრასბურგშიცაა.

ემიგრანტები შიშობენ, თუ საფრანგეთმა მათ თავშესაფარი არ მისცა, მაშინ საქართველოში დაბრუნება მოუწევთ. არადა, ქართველების უმრავლესობას სამშობლოში დაბრუნების მაგივრად ურჩევნია ევროკავშირის სხვა ქვეყნებში გადავიდეს.

**„ვცხოვრობდით საავადმყოფოში, კიბის ქვეშ. ურთულესი გზა იყო. 15 ოჯახი პატარა ბავშვებით, ინვალიდი ბავშვებითაც იყვნენ ჩამოსულნი, პირდაპირ მეთლახზე საბნები იყო გაფენილი. მე არასდროს დავბრუნდები საქართველოში, რადგან პერსპექტივას ვერ ვხედავ“,** — განაცხადა ერთ-ერთმა ემიგრანტმა.

საქართველოდან თავის გადასარჩენად გაქცევა ისე გამარტივდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თეორიულ შემთხვევაშიც კი, შესაძლოა, ქართველებს აღარ დაუდგეთ გული საქართველოში.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დემოგრაფი **ანზორ თოთაძე** აცხადებს, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან პროცენტულად იმდენი ადამიანი არსაიდან არ წასულა საზღვარგარეთ საცხოვრებლად, რამდენიც საქართველოდან. რეალურად დაგვემუქრა ემიგრაციული და იმიგრაციული სიკვდილი. ეს მაშინ, როცა ქართველები ოდითგანვე ძირითადად საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, თითო-ოროლა ქართველი თუ ცხოვრობდა სხვა ქვეყანაში. ამ ფაქტს ნათლად გვიჩვენებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემებიც. 1886 წელს სამხრეთ კავკასიაში ქართველების რაოდენობამ მილიონ 232 ათასი კაცი შეადგინა და აქედან მილიონ 231 ათასი, ანუ 99,9% საქართველოში ცხოვრობდა. კერძოდ, 409 ათასი ქართველი ცხოვრობდა თბილისის გუბერნიაში, 822 ათასი ქართველი ბინადრობდა ქუთაისის გუბერნიაში. ეს ნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში ორჯერ მეტი ქართველი ცხოვრობდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. მოსახლეობის 1897 წლის აღწერის დროსაც ანალოგიური დემოგრაფიული სურათი იხატებოდა.

რაც შეეხება პარალელებს, დემოგრაფის განმარტებით, სომხების რაოდენობა 1897 წელს რუსეთის იმპერიაში მილიონ 173 ათას კაცს უდრიდა, აქედან რუსეთში 50 ათასი სომეხი ცხოვრობდა, ანუ 4,3%, შუა აზიაში 4862, ხოლო საქართველოში 220 ათასი, ანუ 18%. ეს ტენდენცია საბჭოთა კავშირშიც შენარჩუნდა, კერძოდ, 1989 წელს საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა 3 მილიონ 981 ათასი ქართველი, აქედან 3 მილიონ 787 ათასი, ანუ 95% საქართველოში ცხოვრობდა, ანალოგიური მაჩვენებელი სომეხ ხალხში 66%-ს უდრიდა, ხოლო აზერბაიჯანელებში — 85%-ს.

„ახლა კი არც ერთი ქვეყნიდან არ წასულა იმდენი ადამიანი საზღვარგარეთ, რამდენი ქართველიც ჩვენგან წავიდა. **ქართული** საეკლე**სიო და საერო ლიტერატურა მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ქართველ ხალხს მამულის, ენისა და სარწმუნოების — ამ სამი ღვთაებრივი საუნჯის დაცვის მოვალეობას უნერგავდა. ამიტომაც იყო, რომ ქართველის სული ბედნიერებას უცხო ქვეყანაში ვერ პოვებდა. გავიხსენოთ სოლომონ ლიონიძის სიტყვები „უწინამც დღე კი დამელევა მე, უცხოობაში რაა სიამე“. მშობლიური ადგილებიდან გადახვეწა ბარათაშვილის მხედრისთვის ყველაზე დიდი ტკივილი იყო, ვაჟას გმირებისთვის კი ყველაზე დიდი სასჯელი თემიდან მოკვეთა გახლდათ. ქართველი თავისი ქვეყნის სალ კლდეებსაც არ გაცვლიდა სხვა ქვეყნის სამოთხეზე. გულის შემძვრელია შორეული უკრაინის სოფელ ზუბოვკიდან დავით გურამიშვილის მიმართვა სამშობლოსადმი — „სახით სიტყვა შვენიერო, სხივო მზეთა-მზის სახეო, ვეძებე და შენი მსგავსი მე აქ ვერსად ვერ ვნახეო, გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე შენ მკერდ დამმარხეო“. ახლა კი რა მოგვდის? შესაძლებლობა რომ იყოს, ლამის მთელმა საქართველომ გუდანაბადი აიკრას და უკანმოუხედავად უცხოეთს მიაშუროს. იქნებ, ცნობიერება მთლიანად შევიცვალეთ?“** — აინტერესებს ანზორ თოთაძეს.

დემოგრაფის მოსაზრებით, სამშობლოდან ქართველების გადინებაში რეალურად რამდენიმე ფაქტორმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. უპირველესად, კულტურის გლობალიზაციის პროცესმა, რომელიც ეროვნული ფასეულობის პერმანენტულ გაუფასურებას იწვევს. ეს პრობლემა მწვავედ დგას თანამედროვე მსოფლიოში და, მით უმეტეს, ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერის წინაშე. ამასთან, საბჭოთა კავშირის ელვისებურმა დაშლამ მოგვისპო საარსებო სივრცეები და ახალი საარსებო სივრცეების მოძიება რთული გამოდგა, ქვეყნის ეკონომიკა რამდენიმე წელიწადში მოიშალა და მოსახლეობა დიდ გასაჭირში ჩავარდა.

ანზორ თოთაძის აზრით, ბოლოდროინდელ მოვლენებში ტელევიზიის ფაქტორიც გასათვალისწინებელია, რადგან ტელევიზია მასობრივ ცნობიერებაზე ძლიერი ზემოქმედების საშუალებაა. ცალკეული ტელევიზიები საშიშია ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის, ეს ტელევიზიები თითქმის არასდროს აშუქებენ ეროვნული იდეის, ეროვნული მთლიანობის აუცილებლობას, ყურადღება არ ექცევა შემოქმედებით ახალგაზრდობას, მხოლოდ მეორეხარისხოვანი თემები აინტერესებთ — მოცეკვავე ბიჭებს რომ ერთმანეთი შეუყვარდებათ და ამას ფილმად გვთავაზობენ. ტელევიზია არ აჩვენებს, რა მნიშვნელობა აქვს შრომას, ამის გამო მთლიანად იცვლება ადამიანების შეხედულებები ეროვნულ ფასეულობებზე. ახალგაზრდობას ძალიან იოლად უნდა ცხოვრების სიკეთეების მოპოვება, ჰგონიათ, საზღვარგარეთ ოქროს სასახლეებს აიშენებენ. რა თქმა უნდა, ეს ყველა ემიგრანტს არ ეხება.

დემოგრაფის მოსაზრებით, საქართველოში ეკონომიკური სიტუაცია რომც გამოსწორდეს, შეიძლება ქართველებს ისევ შეეცვალოთ მენტალობა და უცხოეთში გაქცევა აღარ იყოს მათი მთავარი მიზანი. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად აქ მნიშვნელოვანი იქნება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების როლიც, სადაც სტატიები უნდა დაიბეჭდოს ქართული ცხოვრების წესის შესახებ, რისთვისაც ღირს ერის ცხოვრება...

**მანანა ნოზაძე**

# აზერბაიჯანული მხარე დავითგარეჯის ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტის გამოძიებას გვთხოვს

**აზერბაიჯანული სააგენტო „ტრენდის“ინფორმაციით, მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, 15 ივლისს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოს ელჩი ზურაბ პატარაძე ახსნა-განმარტებებისთვის დაიბარეს.** აზერბაიჯანის საგარეო უწყების განცხადებით, „საქართველოდან ადამიანთა ჯგუფმა დაარღვია აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარი, „ქეშიქჩიდაღის“ კომპლექსთან (დავითგარეჯი) თავს დაესხა მესაზღვრეებს და შეურაცხყოფა მიაყენა მათ“.

**„წუხილით აღვნიშნავთ, რომ მსგავსი ქმედებები აბსოლუტურად ეწინააღმდეგება აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ურთიერთობების სულისკვეთებას და ვაფასებთ ამას როგორც ორ ქვეყანას შორის დაპირისპირების შექმნისკენ მიმართულ პროვოკაციას“,** — ნათქვამია აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ამასთან, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსთან მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ქართულ-აზერბაიჯანულ მხარეებს შორის გუშინ შეხვედრა გაიმართა. როგორც შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე თეიმურაზ კუპატაძემ განუცხადა, დავითგარეჯში უკვე მშვიდი ვითარებაა, უახლოეს დღეებში მომლოცველები და ტურისტები თავისუფლად შეძლებენ გადაადგილებას.



ასევე, განცხადება გაავრცელა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელშიც აღნიშნულია, რომ სადელიმიტაციო კომისიების მშვიდ და შესაბამის გარემოში მუშაობის ხელშეწყობა კომისიების მიერ წარმატების მიღწევის წინაპირობაა.

# საქართველო ევრაქსესის ოფიციალური წევრი ხდება

**შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ევრაქსესში (EURAXESS)წევრიანდება. ევრაქსესი ინოვაციებისა და მეცნიერების ორგანიზაციაა, რომელშიც გაერთიანებულია 40 ქვეყანა, მათ შორის, იაპონია და ისრაელი.**

როგორც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გამართულ ღონისძიებაზე აღინიშნა, საქართველომ ევრაქსესში გაწევრიანებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები 2018 წლის ოქტომბრიდან დაიწყო. 2019 წლის პირველ მარტს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა მოამზადა და ევროპული კვლევებისა და ინოვაციების პროგრამას წარუდგინა პროექტი (EURAXESS-Georgia), რომელმაც მოწონება დაიმსახურა.



ამასთან, 2019 წლის სექტემბერში ბრიუსელში ხელი მოეწერება მხარეთა მიერ მზაობის გამოხატვის დეკლარაციას, რის შემდეგადაც, საქართველო ოფიციალურად გახდება ევრაქსესის (EURAXESS) ოფიციალური წევრი. ამის შემდეგ ქართულ სამეცნიერო წრეებს ევროკავშირის სამეცნიერო სივრცეზე სრულყოფილი წვდომის საშუალება მიეცემათ, მათ შორის საკუთარი კვლევებისთვის გრანტების მოპოვებაზე.

**ჩვენ ამ მიპატიჟებას სექტემბერში, ბრიუსელში უკვე ოფიციალური ხელმოწერით გავაფორმებთ, რაც ნიშნავს პირდაპირ წვდომას ევროკავშირის სივრცეში 15 ათასზე მეტ ორგანიზაციასთან და ფონდთან. ნებისმიერ ქართველ მეცნიერსა და სამეცნიერო ინსტიტუციას მიეცემა შესაძლებლობა, ისარგებლოს იმ ბენეფიტებით, რომელიც არსებობს ევროკავშირის შიგნით. ამას რამდენიმეთვიანი უზარმაზარი სამუშაო უძღოდა წინ, მაგრამ საქართველომ ყველა პირობა დააკმაყოფილა და დღეს ამაყად შეგვიძლია, განვაცხადოთ, რომ საქართველოს მეცნიერების ინტეგრაციის პროცესი დაიწყო ევროპულ სივრცეში,** — განაცხადა განათლების მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა.

# მითი და რეალობა

## აცრების შესახებ და ზოგი რამ გენ-მოდიფიცირებულ კულტურებზეც

### 17. გრიპისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს ვაქცინების შესახებ

**ერთი ვაქცინაც კი არ არსებობს, რომელსაც სერიოზული გართულებები და სიკვდილი არ გამოეწვიოს.** მათგან მხოლოდ ორზე, ყველაზე გავრცელებულ და ყველაზე უცნაური გამოყენების ვაქცინებზე — გრიპის (ღორის, ქათმის) და საშვილოსნოს ყელის კიბოს საწინააღმდეგო ვაქცინებზე შევჩერდები.

ე.წ. **„ღორის გრიპი“** 2009 წელს გავრცელდა, გამომწვევი ვირუსი კი 2008 წელს იქნა დაპატენტებული ამერიკული „Medimmune Back“ კომპანიის მიერ, ანუ გრიპის ეპიდემიამდე ერთი წლით ადრე(!), რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ხელოვნურად შექმნეს ლაბორატორიაში, სხვა ახსნა არ არსებობს! ღორის გრიპამდე 5-6 წლით ადრე ე.წ. **ქათმის გრიპის** ეპიდემია იყო და ბევრს ეხსომება ჩვენი მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრის **ვლადიმერ ჭიპაშვილის** სენსაციური განცხადება, რამაც ყველანი დაგვზაფრა — საქართველოს მოსახლეობის ლამის მესამედი თუ ნახევარი გაწყდება ეპიდემიის შედეგადო. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მისი პროგნოზი არ იყო, დაახლოებით იგივე განცხადება გააკეთა იმ დროს დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC) ხელმძღვანელმა **ჯული გერბერდინგმაც,** ოღონდ, ის ასეულ ათასებზე ლაპარაკობდა (აშშ-ის მასშტაბით). ადვილი ასახსნელია, თუ რატომ კეთდება ხოლმე ასეთი პანიკური, ცრუ განცხადებები, რათა დაშინებული მოსახლეობის რაც შეიძლება მეტმა ნაწილმა ჩაიტაროს აცრა!

საერთოდ, გრიპის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას: **გრიპის ვირუსის გამუდმებული მუტაციის გამო მისი საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა ეპიდემიის დაწყებამდე ტექნიკურად შეუძლებელია, ეს ეპიდემიის დაწყებიდან მხოლოდ 6-9 (!) თვის შემდეგაა შესაძლებელი, მის სერიოზულ გამოცდას კი 5-7 წელი სჭირდება!** ამიტომაცაა, რომ, მიუხედავად სამი ათეული წლის მანძილზე ჩატარებული გრიპის საწინააღმდეგო ყოველწლიური აცრებისა, გრიპით დაავადების კლება, მეტადრე, მოხუცებში და ბავშვებში, მაინც არ შეინიშნება! რაც შეეხება ღორის გრიპს, აქ ყველაფერი პირუკუ მოხდა: **ჯერ ვაქცინა შექმნეს და ეპიდემია მერე გავრცელდა, ანუ ბუნებრივად კი არ მოხდა ვირუსის მუტაცია და ეპიდემიის გავრცელება, არამედ პირიქით, ანუ ხელოვნურად!** მაგრამ ეს ხომ ძალიან სერიოზული დანაშაულია! მერე? პასუხის მომთხოვნი კი არა, ხმის ამომღები არის სადმე ვინმე?!

ერთი სიტყვით, ინტერნეტის მეშვეობით დღეს ყველას შეუძლია გაეცნოს ზღვა დოკუმენტურ მასალას (ვიდეოფილმების სახითაც კი!) ვაქცინაციის შესახებ და შემდეგ, **ყოველმა მშობელმა თავად უნდა გადაწყვიტოს — აზრი აქვს თუ არა თოთო ბავშვის (რამდენიმე საათის დაბადებულის!) აცრას და საკუთარ ყოველწლიურ აცრებსაც!**

ჰარვარდდამთავრებულმა ექსპერტმა-მიკრობიოლოგმა **ლეონარდ ჰოროვიცმა** ვირუსების შექმნა-გავრცელებაზე პასუხისმგებელ ფარმაკოლოგიურ კორპორაციებს და მათ უკან მდგომ მძიმეწონოსან ამერიკელ მილიარდერებსაც **გლობალური გენოციდის** მომზადების ორგანიზებაში დასდო ბრალი. ისრაელის დაზვერვის — „მოსადის“ მიკრობიოლოგმა **იოსებ მოშემ** კი ლოს-ანჯელესის ცოცხალ რადიოშოუში (2009) განაცხადა, რომ **„ღორის გრიპის ვაქცინა — ეს ბიოლოგიური იარაღია,** რომ ვაქცინა შეიცავს ისეთ მინარევებს, რომლებიც **ასუსტებენ იმუნურ სისტემას და,** რომ ღორის ვირუსი **მიღებულია 1918 წლის ცნობილი „ისპანკის“ ვირუსიდან!** გერმანელმა ეპიდემიოლოგმა **ვოლფგანგ ვოდარგმა „საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი სამედიცინო სკანდალი“** უწოდა ღორის გრიპის ვირუსთან და ვაქცინაციასთან დაკავშირებულ მოვლენებს და პირდაპირ მიუთითა, რომ **„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანამშრომელთა ჯგუფი მჭიდრო კავშირშია ფარმაცევტულ მრეწველობასთან“! ინდონეზიის ჯანდაცვის მინისტრმა** შეერთებული შტატები და ეს ორგანიზაცია გლობალურ შეთქმულებაში, ბიოლოგიური იარაღის წარმოებაში დაადანაშაულა.

რაც შეეხება **საშვილოსნოს ყელის კიბოს** მიზეზად მიჩნეულ ე.წ.ადამიანის პაპილომავირუსს და მის საწინააღმდეგო **ვაქცინას,** რომლითაც 9-14 წლის გოგონებს ცრიან სკოლებში უფასოდ და მშობლების უკითხავად(!) იმ მიზნით, რომ მომავალში, ასე 30-40 წლის შემდეგ მათ თავიდან აიცილონ ამ დაავადების შესაძლო(!) განვითარება. პაპილომავირუსების ვაქცინების (Gardasil და Cervarix) მთავარმა სპეციალისტმა, დოქტორმა **დაიანა ჰარპმა** ჯერ კიდევ 2009 წელს განაცხადა, რომ ეს ვაქცინები არ აქვეითებენ საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებიანობის მაჩვენებელს და, რომ მათი ეფექტურობა, საერთოდ, არ შესწავლილა. დადასტურებული ერთი რამ არის მხოლოდ — ეს ვაქცინები ექსპერიმენტში უნაყოფობას (ანუ უშვილობას) იწვევენ! **საშვილოსნოს ყელის კიბოს ვაქცინით გოგოებთან ერთად ბიჭებსაც(!) ცრიან მთელ რიგ ქვეყნებში** და, რამდენადაც ვიცი, ასეთი აცრები **საქართველოშიც** ჩაუტარდათ ბიჭებს იმ მოსაზრებით, რომ მომავალში მათ არ განუვითარდეთ სასქესო ორგანოს კიბო! არადა, ამ ორგანოს კიბო ონკოლოგიური დაავადებების მხოლოდ 0,2%-ს შეადგენს და ავადმყოფთა საშუალო ასაკი 60 (!) წლის ზემოთაა, არასრულწლოვანებში კი საერთოდ არ გვხვდება! მაშ რა უნდა იყოს ჭეშმარიტი მიზანი? იგივე, რაც გოგონებში — უნაყოფობის მიღწევა (ეს აცრებიც, რა თქმა უნდა, უფასოდ და მშობლების უკითხავად უტარდებათ ბიჭებსაც)!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №137-140, 142

### 18. ვაქცინაციის აუცილებლობა და პარადოქსული (თუმცა, კანონზომიერი) ფაქტები

**როცა** ვაქცინაციის არაეფექტურობაზე და ამდენ გართულებებზე ვსაუბრობთ, მის აუცილებლობაზე ლაპარაკი უკვე ზედმეტიც კი უნდა იყოს, მაგრამ მოდით, ზოგიერთი აცრის **აუცილებლობას** ოდნავ სხვა კუთხით შევხედოთ და **პარადოქსული ფაქტების** მაგალითებიც მოვიყვანოთ.

რა აზრი აქვს **ტეტანუსზე** აცრას, რომლის გამომწვევი ჩხირის სპორებით მილიონში ერთი ადამიანი თუ დასნებოვნდება მთელი ცხოვრების მანძილზე, რომელიც არაგადამდებია და **ხუთჯერადი, განმეორებითი აცრების მიუხედავად, იმუნიტეტი მაინც არ გამომუშავდება?!** სხვა ინფექციებისგან განსხვავებით, იმუნიტეტი, არათუ აცრების შედეგად, არამედ, ტეტანუსის გადატანის შემდეგაც კი არ ყალიბდება! ამიტომაც არის, რომ ტეტანუსის კლინიკური ფორმის გამოვლენის შემთხვევაში, ყოველ(!) ჯერზე, ტოქსინის გასანეიტრალებლად ანატოქსინის შეყვანაა საჭირო (ტეტანუსის ჩხირის სპორები ღრმა ჩხვლეტითი ჭრილობის დროს ხვდებიან სისხლში, ძირითადად, ფეკალიებით დაბინძურებული ნიადაგიდან). კითხვა ისმის: თუკი, ტეტანუსზე აცრას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოაქვს, რა მოსაზრებით არის ის დიფტერია-ყივანახველას ვაქცინაში დამატებული, სინერგიული მოქმედების თუ გართულებების გამოწვევის მიზნით?!




*„ჩვენ კვდომას ვიწყებთ იმ დღეს, როდესაც სიმართლეს ვიგებთ და ამის შესახებ ხმას არ ამოვიღებთ“!*

*მარტინ ლუთერ კინგი*

**ჰემოფილურ ინფექციას** მრავალი სახის ჩხირი იწვევს, მაგრამ ცრიან მხოლოდ B ტიპზე. აცრების დაწყებიდან (1990) მალევე აღმოჩნდა, რომ **B ტიპს სხვა ტიპის ვირუსებმა გადააჭარბეს (A-დან F-ის ჩათვლით),** რომლებიც დაავადების მძიმე ფორმებს იძლევიან, აგრესიული მიმდინარეობით ხასიათდებიან და დაავადებიანობის მაჩვენებელს ზრდიან დიდებში! აცრებით კი, ერთი წლის(!) ასაკამდე ბავშვებს ცრიან, თანაც — ოთხჯერ!

**B ჰეპატიტი** — გადაეცემა სისხლის და სქესობრივი გზით და, სწორედ ამიტომ, ბუნებრივია, **ბავშვები რისკის ჯგუფში არც შედიან.** რისთვისღა ცრიან ერთი დღის (5-12 საათის!) ახალშობილებს?!

**პოლიომიელიტის** ვაქცინა — ინაქტივირებულ ვაქცინას არ შეუძლია პოლიომიელიტის ვირუსის გავრცელების შეკავება. შეერთებულ შტატებში უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, რაც აღარ არის პოლიომიელიტის ე.წ. ველური ვირუსი და, თუკი ის ხელახლა იქნება ქვეყანაში გარედან შეტანილი, ინაქტივირებული ვაქცინა მაინც ვერ მოახდენს გავლენას უსაფრთხოებაზე.

ახლა ერთი-ორ **პარადოქსულ** მოვლენაზეც ვთქვათ:

მეცნიერი-მრჩევლების საბჭოს შეხვედრაზე დაავადებათა კონტროლის ცენტრში (CDC) 2013 წელს საგანგაშო მონაცემები წარმოადგინეს: **ყივანახველას** ნაირსახეობით (PRN ნეგატიური შტამით) **სწორედ ისინი ავადდებოდნენ, ვისაც ყველა (!) აცრა** (ყივანახველა—დიფტერია—ტეტანუსის ვაქცინით) **დროულად ჰქონდა ჩატარებული,** რაც იმას ნიშნავს, რომ ინფექციის გადაცემის თვალსაზრისით, აცრილები უფრო საშიში გახდნენ საზოგადოებისთვის, ვიდრე — აუცრელები.

მეცნიერებმა, რომლებიც წითელას შესწავლით არიან დაკავებული, დიდი ხანია იციან ე.წ. **„წითელას პარადოქსის“** შესახებ. აი, რას წერდნენ **პოლანდი და იაკობსონი** თავიანთ სტატიაში: **„წითელას აღმოფხვრის შეუმდგარი მცდელობა** (Arch Intern Med, 1994): **„თვალსაჩინო პარადოქსია ის, რომ მოსახლეობის იმუნიზაციის ზრდასთან ერთად, წითელა აცრილი(!) ადამიანების დაავადებად იქცა“!** უნდა გავიმეორო: „წითელა აცრილი ადამიანების დაავადებად იქცა“! დაახლოებით 20 წლის შემდეგ გაირკვა, რომ ეს პარადოქსი კანონზომიერია, რომ მიზეზი ამისა არიან ადამიანები სუსტი იმუნური პასუხით ვაქცინაზე. წითელას ვაქცინის პირველ დოზაზე (ერთი წლის ასაკში) და რევაქცინაციაზეც (ხუთი წლის ასაკში) ეს ადამიანები სუსტად პასუხობენ და, ამიტომ 2-5 (!) წლის შემდეგ ისინი ისევ მგრძნობიარენი ხდებიან ამ დაავადების მიმართ. ასეთი ბავშვები კი 4,7%-ს შეადგენენ შეერთებულ შტატებში. ამიტომაც არის, რომ წითელას აფეთქებები იქაც გვხვდება, სადაც იმუნიზაცია უმაღლეს დონეზეა — 95-97% და 99%-საც კი შეადგენს. წითელას აფეთქებებს მეცნიერები ხსნიან იმით, რომ **იმ ადამიანებშიც კი (!),** ვისაც ვაქცინაციაზე მაღალი იმუნური პასუხი ჰქონდათ, **ანტისხეულების რაოდენობა დროთა განმავლობაში საგრძნობლად კლებულობს!** დოკუმენტურად დადასტურდა ის ფაქტიც, რომ **წითელას ორი დიდი აფეთქების მიზეზი კვებეკში (კანადა) და ნიუ-იორკში 2011 წელს აცრილი ადამიანები იყვნენ**. იგივე სურათი განმეორდა 2016 წელს ჰარვარდის, რიჩმონდის და კიდევ რამდენიმე უნივერსიტეტში — **ყბაყურათი** მხოლოდ აცრილები გახდნენ ავად. ვაქცინატორებს არ უნდათ აღიარონ, რომ **ვაქცინაციისშემდგომი იმუნიტეტი ხანმოკლეა, დაავადებისგან ვერ გვიცავს და ხშირ შემთხვევაში სიცოცხლე-ჯანმრთელობისთვისაც უფრო საშიშია, ვიდრე თვით დაავადება!**

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი — შეერთებულ შტატებში 2019 წლის დასაწყისში გავრცელებული წითელას უმეტესი შემთხვევა ზრდასრულებში და ახალშობილებში დაფიქსირდა, მაშინ როცა, აცრების შემოღებამდე, ძირითადად, 1-15 წლის ბავშვები ავადდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროში დიდი იყო ეპიდემიების რისკი, ერთ წლამდე ბავშვებში წითელა, პრაქტიკულად, არ გვხვდებოდა, ვინაიდან ახალშობილს, წითელაგადატანილი დედისგან მყარი იმუნიტეტი გადაეცემოდა. ახლა კი **აცრილი დედისგან ახალშობილს აღარ გადაეცემა იმუნიტეტი,** ვინაიდან, როგორც ზემოთ ვთქვით, დროთა განმავლობაში, ანტისხეულები კლებულობს, იმუნიტეტი სუსტდება და ვიღებთ ზემოთ ნახსენებ სურათს. არადა, **წითელა უფრო დიდ საშიშროებას სწორედ უფროსი ასაკის ადამიანებისთვის და ახალშობილებისთვის წარმოადგენს,** ვიდრე — სკოლის ასაკის ბავშვებისთვის! ფაქტობრივად, დილემის წინაშე ვდგავართ — ვაქცინაციის დადგენილი კალენდრის მიხედვით წითელაზე აცრები კეთდება 12-15 თვის და 4-6 წლის ასაკში (სულ ორჯერ) და აბსოლუტურად დაუცველი გვრჩება ყველაზე სათუთი და მოსაფრთხილებელი კონტინგენტი — ბავშვები 15 თვემდე, რომლებისთვისაც, როგორც ვთქვით, წითელა დიდ საშიშროებას წარმოადგენს და, რომლებსაც თვით ბუნება იცავდა ადრე წითელამოხდილი დედის მემკვიდრეობითი იმუნიტეტით. ერთი შეხედვით, სრულიად ნათელია, რომ B ჰეპატიტის და ჰემოფილური ინფექციის საწინააღმდეგო აცრებს კი არ უნდა ვუტარებდეთ ერთ წლამდე ბავშვებს, თანაც 3-3-ჯერ, არამედ, — წითელაზე აცრებს, მაგრამ აქ თავს იჩენს ერთი დიდი დადასტურებული პრობლემა — ეს არის აუტიზმით გართულება, რომლის განვითარების შანსი 7-ჯერ(!) მეტია 15 თვის ასაკში აცრების დროს, ვიდრე — 3 წლის ასაკში! ადვილი წარმოსადგენია, თუ რა კატასტროფულ შედეგებს მივიღებთ, თუკი, კიდევ უფრო პატარებს — 5-12 საათის(!) ახალშობილებს დავუწყებთ წითელა-ყბაყურა-წითურაზე აცრებს!



**იაკობ ლეჟავა**

ტ. 593-55-04-00

**ანონსი:**

**მორიგ ნომერში — გმო და დეპოპულაცია**

## ვირთხა გიორგი გაბუნიას მონაჩმახის გამო

**ის უხამსობა, რაც „რუსთავი-2“-ის ტელეწამყვანმა იმ დღეს იკადრა და სხვასაც აკადრა, მართლაც გამორჩეული და ამაზრზენია!**

**აგინა რუსეთის პრეზიდენტს.**

**უშვერად, ბინძურად.**

**თანაც რუსულად, რათა რუს მსმენელს ზუსტად, უმეტნაკლებოდ გაეგო, რაც თბილისიდან შეუთვალეს (მავანი გაბუნია რომ ეულად არ გარჯილა, ცხადზე ცხადია).**

**მიზანი მიღწეულია. რუსმა მსმენელმაც და თვით გინების ობიექტმაც — პრეზიდენტმა პუტინმაც უშეცდომოდ გაიგეს ყველაფერი.**

**მოგეხსენებათ, ჩაფიქრებულმა სკანდალმაც არ დააყოვნა. რუსეთის დუმის საპასუხო განზრახულობა ძალზე მკაცრი და დაუნდობელი იყო: საქართველოს ბლოკირება და ვარიასავით გაპუტვა. მაგრამ თვით გალანძღულმა პრეზიდენტმა გადაიფიქრა „ქართველების სიყვარულის გამო“ — ფართომასშტაბიან სანქციებზე უარი თქვა (მსოფლიო არ აალავლავა), თუმცა ეკონომიკურმა ზარალმა მაინც გვარიანად შეგვაჭრა ფრთები.**

**არადა, ყველაფერი შეიძლებოდა გაცილებით უარესად დამთავრებულიყო, თუნდაც როგორც 1400 წელს მოხდა...**

# ნუ უკბენ იმას, ვისაც შენი შეჭმა შეუძლია

**XIII საუკუნის** დასასრული საშინელი გამოდგა საქართველოსთვის. აზიიდან შემოჭრილმა კოჭლმა ვეფხვმა 17 წლის მანძილზე (1386-1403 წწ.) რვაგზის დაარბია ქვეყანა, მოწვა და მოაოხრა. მტერი და დამპყრობი არასოდეს აკლდა საქართველოს, მაგრამ თემურ-ლენგივით გულმხეცი — აპაპაპა!

1400 წლის გაზაფხულზე თემურ-ლენგმა თავისი ჯარი კვლავ საქართველოსკენ დაძრა (ეს მისი მეექვსე ლაშქრობა იყო), საზღვართან შეჩერდა და ელჩი გაუგზავნა ქართველთა მეფეს გიორგი VII-ს და მასთან შეხიზნული სულთან ახმეტ ჯალაირის ვაჟის უფლისწულ ტაჰერის დაბრუნება მოსთხოვა. თან მისწერა: **„მე ვარ მეფე შენი და მოვედ ჩემად და შემომირიგდი. და მოგცემ საბოძვარსა მრავალსა და დიდად პატივს გცემ. და უკეთუ არა მორჩილ მექმნები, უბრძანებ ლაშქართა ჩემთა და მოვაოხრებ სრულად ქვეყანასა შენსა“.**

ეს შემონათვალი დაახლოებით ისეთია, როგორიც 100 წლის წინათ, 1289 წელს მიიღო მონღოლთა ყაენ არღუნისგან საქართველოს მეფემ დემეტრე II თავდადებულმა, აწინდელი მეფის გიორგი VII-ის პაპის პაპამ, დიდი თამარის შვილიშვილის შვილმა: იგი ურდოში იხმეს უეჭველი სიკვდილისთვის ყაენის წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდებით. როცა საგანგებო სათათბიროდ შეყრილმა დარბაზმა ერთხმად სთხოვა, არ წასულიყო ურდოში, არამედ გახიზნულიყო მთიულეთს ან ქუთაისს, დემეტრემ მართლაც მეფურად ბრძანა, რაც დღესაც, შვიდი საუკუნის შემდეგაც, სიამაყით გვავსებს მის შთამომავლებს: **მე რომ არ წავიდე, ქვეყანა უნდა დამიქციონ მონღოლებმა, ხალხი ამომიწყვიტონ — „აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენის წინაშე და იყოს ნება ღვთისა, უკეთუ მე მომკლან, დაე, ქვეყანა ჩვენი უვნებლად დარჩეს“** და ურყევი ნებით გაეშურა სამხრეთისკენ — მოვაკანს, სადაც 1289 წლის 12 მარტს დილით თავი მოჰკვეთეს.

მეფე გიორგის კი ბევრი არ უფიქრია არც შესაძლო ზავზე და არც სრულიად იოლად გასათვლელ შედეგზე. საფრთხე მთლად სასიკვდილო არ ჩანდა, იმედის დიდი შესაძლებლობა იყო მაგალითი ხომ, ასე ვთქვათ, თვალწინ ჰქონდა. 1386 წლის ნოემბერში საქართველოში თავისი პირველი ლაშქრობისას, თემურ-ლენგი თბილისს მოადგა, მძიმე ბრძოლით აიღო და დაატყვევა გიორგის მამა — საქართველოს მეფე ბაგრატ V, დედოფალი ანა და უფლისწული დავითი. გამოსაზამთრებლად ყარაბაღს წავიდა და ტყვეებიც წაიყვანა. მან ბაგრატს გამაჰმადიანება მოსთხოვა, სამაგიეროდ, ტახტის დაბრუნებას და დიდ წყალობას შეჰპირდა. ტყვეობისგან თავის დაღწევის მიზნით ბაგრატმა მოჩვენებით მაჰმადიანობა მიიღო და შინ მშვიდობით დაბრუნდა...

გიორგიმ კი მოციქულს უკმეხად უპასუხა: **„მე მეფისა შენისა უმცირესი არა ვარ და არცა ძალ-უც მოოხრება ქვეყნისა ჩემისა. და ვინაითგან უთქუამს, უკეთუ არა აღასრულოს საქმე ეგე, იყოსმცა დიაცი და არა კაც“.**

ყოყლოჩინა პასუხი გვაფიქრებინებს, რომ გიორგი მეფეს საკუთარ თავზე დიდი, გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონია, რაც მთავარია, იგი სათანადოდ ვერ აფასებდა, რა სასიკვდილოდ საშიშ ძალასთან ჰქონდა საქმე. მას შემდეგ, რაც თემური არაერთი დიდი და ერმრავალი ქვეყნის მპყრობელად იქცა (მათ შორის ინდოეთისაც), რომელთანაც მარცხი იწვნია ძლიერმა თოხთამიშ ყაენის ოქროს ურდომაც, უბრალო შორსმჭვრეტელობასაც კი საქართველოსთვის უაღრესი საფრთხე უნდა ეკარნახა.

შედეგმაც არ დააყოვნა, როგორც კი ელჩმა თავის მბრძანებელს მოახსენა ქართველთა მეფის ეს „ზედმეტად გაბედული“ პასუხი, უაღრესად პატივმოყვარე თემურ ლენგი ფრიად განრისხდა — **„განძვინდა დიდად და აღიყარა და წამოვიდა ლაშქრითა ურიცხვითა“,** გაჩვენებ რა ჩემი ტოლი მეფეც ხარ და მაქვს თუ არა ძალა შენი ქვეყნის მოსაოხრებლადო. თემური განსაკუთრებით ამ სიტყვებმა გააცოფა, „დედაკაცი იყო და არა კაცი, თუ არ აღასრულოო...“

გიორგი მეფემაც დიდი სამზადისი ჩაატარა, უხმო „ყოველთა საქართველოს“, დამხმარე ჯარიც გადმოიყვანა ჩრდილოეთ კავკასიიდან.

ერთმანეთს შეებნენ გოგჩის (დღევანდელი სევანის) ტბასთან. მთელი დღის ფიცხელი ომის შემდეგ ქართველები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ და „წარვიდნეს მთათა და სიმაგრეთა“.

გამარჯვებულმა თემურმა ქვემო ქართლი მოსრა და დიდი ბრძოლის შემდეგ თბილისიც აიღო; მოთხარა და გააცამტვერა მუხრანი, ქსნის, გორის, ძამას ციხეები. მეფე გიორგი უკან-უკან იხევდა და ბოლოს დასავლეთ საქართველოში გადავიდა. თემურმა მიყოლა არ ისურვა, დაანგრია მცხეთა — სვეტიცხოველი, ააოხრა არაგვის ხეობა.

მან წინანდელ ლაშქრობათა გამოცდილებისამებრ (პირველად ჰერეთში გამოიყენა) არა მხოლოდ ხალხს ჟლეტდა, არამედ ანგრევდა მათ სახლებს, ეკლესიებს, სასახლეებს, სპობდა ნათესებს, ხეხილს, ჩეხდა ვაზს, კაკლის და თუთის ხეებს, ანუ ქვეყანა გაანადგურა ეკონომიკურადაც და კულტურულადაც.

ამდენი უბედურების შემდეგ 1401 წელს თემურ-ლენგი კვლავ მოადგა საქართველოს საზღვრებს და შამქორში დაბანაკდა. აქ კი გიორგიმ იკადრა და ელჩი (თავისივე ძმა, უფლისწული კონსტანტინე ბატონიშვილი) გაუგზავნა დიდძალი საჩუქრით და ზავი შესთავაზა. თემური თურქების წინააღმდეგ ომისთვის ემზადებოდა და ამიტომ ზავი მიიღო. საქართველო კისრულობდა ხარკს, ჯარის გარკვეული რაოდენობის გამოყვანას, ქართველებს არ უნდა შეევიწროებინათ მუსლიმანები და სხვ. სამაგიეროდ, თემურ-ლენგი უსაფრთხოებას აღუთქვამდა საქართველოს. ზავი დაიდო 1401 წლის სექტემბერში და 1403 წლის გაზაფხულამდე იმოქმედა, როცა თემური მერვედ შემოესია საქართველოს და დასავლეთ საექართველოში ილაშქრა (აქ ის იძულებული გახდა ახალი ზავი დაედო).

თემურ ლენგი 1405 წელს გარდაიცვალა, გიორგი VII — 1407 წელს.

**ივანე ჯავახიშვილი გიორგი მეფეს მხნე და მამაც მებრძოლად, ეროვნული და პოლიტიკური თავმოყვარეობით გამსჭვალულად მიიჩნევს. მაგრამ, როგორც პოლიტიკოსსა და სამხედრო საქმის მეთაურს, კოლექტიური თავდაცვის ხელმძღვანელს, ზოგიერთი აუცილებელი თვისება აკლდაო, წერს. მაშინდელ საქართველოს გაცილებით უფრო ხანგრძლივადაც და უკეთესადაც შეეძლო ებრძოლა, ერთი დიდი ნაკლი რომ არა — გაუფრთხილებლობა და უდარდელობაო.**

თემურ ლენგის მემატიანე შერეფედდინის სიტყვებითაც ირკვევა, რომ საქართველოს აუღებლობით ცნობილი და იმ დროისთვის მართლაც გასაოცრად გამაგრებულ-უზრუნველყოფილი ყველა ციხე თემურის ლაშქარს მხოლოდ ქართველ მეციხოვნეთა ასეთი მიუტევებელი დაუდევრობით ჰქონია აღებული. ცხადია, ეს სამხედრო ორგანიზაციის და მისი ხელმძღვანელის დიდი და საბედისწერო ნაკლი იყო, რის გამოყენებაც მტერმა საუკეთესოდ მოახერხა.



თემურ-ლენგის ძეგლი ტაშკენტის მთავარ მოედანზე



მეფე გიორგი VII-ის წერილი თემურ ლენგისადმი

ივანე ჯავახიშვილი ასევე ხაზს უსვამს გიორგი მეფის, როგორც პოლიტიკოსის ნაკლსაც. **ქართველთა მეფე ამაოდ ფიქრობდა, რომ აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოების ძალაც შესწევდა და გარემოებაც ხელს უწყობდა, ანუ გადაჭარბებულად ეიმედებოდა საკუთარი ძალები და ამასთან, სათანადოდ ვერ აფასებდა თემურ-ლენგს.**

ასეთ პირობებში აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება შეუძლებელია, მიზანშეწონილი ყოფილიყო, მით უმეტეს, მეექვსე შემოსევის წინ ქართველთაგან ალინჯის ციხის ხელში ჩაგდება ნახჭევანში და ნახჭევანის სანახების დარბევა, იმ ქვეყნისა, რომელშიც თემურ-ლენგს თავისი ხელისუფლება ჰყავდა ჩაყენებული. ეს მრისხანე მტარვალის განზრახ გაღიზიანებას უდრიდა და სიტყვიერადაც მისი თავმოყვარეობის შელახვას შურისძიებაც მძიმე მოჰყვა — მეექვსე შემოსევა განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.

ქართველები კარგად გრძნობდნენ, თავს დამტყდარი უბედურების ბრალი გიორგი მეფესა და მის პოლიტიკურ მრჩევლებს რომ ედებოდათ. გიორგი მეფის პოლიტიკას შინაურობაში განხეთქილებაც კი გამოუწვევია, ხოლო იმდროინდელ ერთ ძეგლში დაცული ანდერძი გიორგი მეფეს ამის გამო წყევლა-კრულვით იხსენიებს...

ერთიც, თუ თემურ-ლენგის მოქმედებას ჩავუკვირდებით, შევამჩნევთ: თავშეუკავებელი მრისხანების შემოტევის შემდეგ, მას არაერთხელ საქმის მოგვარება შეთანხმების გზითაც უცდია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ, მაგალითად, არაგვის ხეობაში მიზნის მიუღწევლად ლაშქრის მრავლად ჩახოცვის შემდეგ, თემური ზავს შეკრავდა, საქართველოს რომ შეთანხმება და ხარკის ძლევა ეკისრა.

დაზავების აუცილებლობა ბოლოს და ბოლოს გაჯიქებულმა გიორგი მეფემაც შეიგნო, მაგრამ გვიან, როდესაც უკვე ხალხიც მრავლად იყო გაწყვეტილი და ქვეყანაც უკიდურესად გაპარტახებული. თემურის სიკვდილის შემდეგ მისი საბრძანებლის სწრაფმა დაშლამ ცხადყო: ამ მტარვალისგან გათავისუფლება საშინელი მსხვერპლის გარეშეც მოხერხდებოდა, ქვეყნის სათავეში მაშინ გიორგი V ბრწყინვალეს მსგავსი გამჭრიახი ხელმწიფე რომ მდგარიყო...

**ახლა, როცა ბოლომდე გიამბეთ საქართველოს ავბედობა XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, ვფიქრობ, იოლად შეიძლება დღევანდელობასთან პარალელების დაძებნა, თუმცაღა არც ბატონ პუტინის შედარება შეიძლება თემურ-ლენგთან და არც ვირთხა გაბუნიასი — გიორგი VII-სთან. უბრალოდ, იმის თქმა მინდოდა, რომ დაუფიქრებლობას, ენის მოღორებას გინდაც მეფისგან და გინდაც უგვანი მოხელისგან, შეუძლია, ხრამში გადაჩეხოს ქვეყანა, რომ ყავლი არ გასვლია შეგონებას — ნუ უკბენ იმას, ვისაც შენი შეჭმა შეუძლია.**

**ალეკო ასლანიშვილი**

# ჩაანაცვლებს თუ არა აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორია საქართველოს?



**საქართველო რუსი ტურისტებისთვის გარდაიცვალა. ბოლო თვითმფრინავი მოსკოვიდან თბილისში 7 ივლისს გაფრინდა, – წერს „Комсомольская правда“.**

**(მასალაში მოხსენიებულ აფხაზეთის რესპუბლიკას ან აფხაზეთის ხელისუფლებას „კომერსანტი“ რადიკალურად ემიჯნება. მასალას გთავაზობთ უცვლელად).**

**იქნებ გამართლდეს აფხაზების იმედი და რუსულმა ტურისტულმა ნაკადმა აფხაზეთში გადაინაცვლოს?**

**იქ, რა თქმა უნდა, რუსებს მოუთმენლად ელიან. ძალიან ელიან — მაგრამ არ არემონტებენ სარკინიგზო სადგურს, არ ხსნიან აეროპორტს და არ უვლიან პლაჟებს...**

## ყოფილი დიდების ნარჩენები

**— თქვენ, ალბათ, ელით ბევრ რუს ტურისტს? ხედავთ, რა ხდება საქართველოში, — ვეკითხები პატარა, მაგრამ ძალიან ამაყი რესპუბლიკის პრეზიდენტს რაულ ხაჯიმბას.**

— დიდი იმედი გვაქვს, რომ ტურისტული ნაკადი მოტრიალდება ჩვენკენ. მართალია, ჩვენი სერვისი ჯერ არაა მაღალი, მაგრამ ჩვენ ძალიან კეთილები ვართ და მზად ვართ, მივიღოთ ჩვენი რუსი ძმები, — მპასუხობს იგი.

და იღებენ კიდეც — როგორც აქაური ხელისუფლება ამტკიცებს, აფხაზეთში ყოველწლიურად ჩამოდის მილიონი რუსი ტურისტი.

— სსრკ-ის დროს ჩამოდიოდა 2 მლნ და იმედი გვაქვს, რომ სულ მალე მივაღწევთ ამ დონეს — ამბობს პრეზიდენტი.

იმისთვის, რომ გაიგო, როგორ გრძნობს თავს რუსი ტურისტი აფხაზეთში, სულ არაა საჭირო ოფიციალური პირების დაკითხვა, ყველაფრის დანახვა შეიძლება საკუთარი თვალებით.

შესანიშნავი ნანგრევები იწყება პირდაპირ სასტუმროს შესასვლელთან — სხვათა შორის, ეს არაა უბრალოდ სასტუმრო — ეს არის ერთ დროს განთქმული მოსკოვის სამხედრო გარნიზონი.

სასადილოს პომპეზური შენობა წააგავს პატარა სასახლეს, მაგრამ შუშები ჩამსხვრეულია, საღებავი ჩამოიფხიკა. სადღეისოდ მუშაობს მხოლოდ 2 კორპუსი, დანარჩენი ყველაფერი ფანჯრების და კარების გარეშეა.

თუმცა, პალმები, მაგნოლიები, ევკალიპტები — დღესაც აქაა. თუ არ უყურებ გაპარტახებულ შენობებს და ჩართავ ფანტაზიას — მაშინ არა უშავს.

დიდად არ შეცვლილა სიტუაცია „პლაჟზეც“ — ზღვა, რა თქმა უნდა, თავის ადგილზეა. თუმცა, ასევე თავის ადგილზეა ჟანგიანი ქოლგები, ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან, რაღაც ბეტონის კონსტრუქციები, ნაგავი. ყველაფერი გაპარტახებული და განადგურებულია.

დამსვენებლები — 20 ადამიანი, შეიძლება 30. უზარმაზარი „პლაჟი“ ცარიელია.

— ბუნება ძალიან ლამაზია, რიწის ტბა, მთები, ზღვა. დანარჩენზე ამას ვერ ვიტყვი. სასტუმრო — დიდი არაფერი, შეზლონგები — ტალონებით, თუმცა, ძალიან მძიმეა სათრევად, ამიტომაც უნდა აიღო პირდაპირ პლაჟზე, 50 რუბლად, მაგრამ ყველა გატეხილია, არც ერთი არ იხსნება წესიერად, — ამბობს დამსვენებელი კალუგიდან.

მისი მეუღლე სხვა აზრისაა:

„ვიცოდით, სად ჩამოვდიოდით, თანაც ასეთ თანხად, სოჭში ვერ იქირავებ ნომერს სანაპიროზე 1500 რუბლად დღე-ღამეში. გათვალისწინებულია სამჯერადი კვება, თუმცა, ჩვენ არ დავდივართ სასადილოში — იქ ძალიან უგემურია ყველაფერი.

ქმარი მაინც არ იცვლის აზრს.

— ეს საყოველთაო გაპარტახება ძალიან დამღლელია, ყველაფერი ბინძურია, ავეჯი ძველია, საღამოს სასტუმროში დაბრუნებაც კი არ მინდა. მადლობა ღმერთს, ხვალ მივემგზავრებით. თუმცა, რა თქმა უნდა, ბუნება ძალიან ლამაზია. ჩამოვალთ თუ არა აქ კიდევ? არ ვიცი, არ ვიცი — ამბობს კალუგელი ტურისტი.

მოგვიანებით, ცნობისმოყვარეობამ წამძლია — მოვძებნე ეს პანსიონატი ინტერნეტში. ფოტოებზე — არაუშავს.

სასტუმროში სავსეა ცარიელი ნომრები, ისევე როგორც სხვა განთქმულ აფხაზურ კურორტებზე — გაგრასა და ბიჭვინთაში.




სოხუმის ცენტრალურ სანაპიროზე მეტ-ნაკლებად წესრიგია — ქვაფენილი, რესტავრირებული ძველი შენობები, ევკალიპტები. სასტუმროში ნანახის შემდეგ ცოტათი ვმშვიდდები — აგერ, შეუძლიათ, თუ მოინდომეს..

თუმცა, სანაპიროები არ განსხვავდება — შეზლონგები ცოტაა, დამსვენებლები — კიდევ უფრო ნაკლები. და ეს სეზონის პიკზე?

„მერე რა? ჩვენ გვყოფნის. ისე, სანამ არ აივსება გაგრა და ბიჭვინთა, აქ არავინ ჩამოვა. იქ რომ არ იქნება ადგილები, ჩამოვლენ აქ. ისე, რაც ნაკლებია ხალხი, მით მეტი ჟანგბადია, არ იცოდით?“ — ამბობს ადგილობრივი ოფიციანტი.

კაფეში ფასები თითქმის მოსკოვურია, თუმცა, ყველგან სიცარიელეა. ხალხნო, სადა ხართ?

ერთადერთი ადგილი, რომელიც მუდამ სავსეა, არის ე.წ. „სალაყბო“, პატარა ყავახანა სანაპიროზე, სადაც აფხაზი მამაკაცები თამაშობენ ნარდს და ბჭობენ პოლიტიკაზე.

„სალაყბოში“ არ ლაყბობენ..

ამბობენ, რომ აფხაზეთის წინა პრეზიდენტი ალექსანდრ ანქვაბი ხშირად სტუმრობდა აქაურობას. შემოირბენდა ყავის დასალევად.

— „სალაყბოს ჰყავს თავისი პრეზიდენტი, ის იცავს წესრიგს, თუ ვინმე ჩხუბობს ან ყრის ნაგავს — აძევებენ, — ამბობს 60 წლის ზურაბი.

თუმცა, „სალაყბოსგან“ განსხვავებით, როგორც ჩანს, პლაჟებზე წესრიგს და სისუფთავეს არავინ იცავს.

— სადაა ნაგავი პლაჟზე? თუ არის — მაგას თქვენი რუსი ტურისტები ყრიან, უნდა ვაიძულოთ, რომ წაიყოლონ თავიანთი ნაგავი. სხვათა შორის, ეს თქვენი რუსული სანატორიუმი იყო და თქვენი სამხედროები არასდროს იხდიდნენ მიწის ქირის გადასახადს. კი, რუსეთის მთავრობა გვაძლევს ჩვენ ფულს, მაგრამ ეს რა ფულია? ხურდა, არავის რომ არ ეყოფა — ბრაზობს ზურაბი.

მე ვეუბნები:

— აი თქვენთან აკრძალულია უცხოელებისთვის ბინების და მიწების ყიდვა. ნახეთ, 1 წლის წინათ ვიყავი ბათუმში, იქ უცხოელები ყიდულობენ ბინებს, ხსნიან ბიზნესებს და ეს არა მხოლოდ ნებადართულია, პირიქით, ეპატიჟებიან ყველას. ამიტომაც, იქ ყველა კუთხე ათვისებულია და ყველგან წესრიგია. გინდათ, გაჩვენოთ? — ვთავაზობ მას.

ის არ ამბობს უარს და უყურებს სურათებს ჩემს სმარტფონში. მესამე სურათზე ვერ უძლებს, და იწყებს გინებას.

„ტფუი, არ მინდა მათ ვუყურო. ვიცი მე ამ ქართველების ამბავი. პირველივე სკანდალის შემდეგ ყველას გააგდებენ და პირველ რიგში რუსებს“, — დარწმუნებულია ჩემი მოსაუბრე.

„საქართველო ჩვენი მტერია, რუსეთი კი — მეგობარია“, — ამბობენ აფხაზები, თუმცა, ამავე დროს არ აძლევენ რუსებს უძრავი ქონების და მიწის ყიდვის უფლებას — „მაშინ ნახევარ აფხაზეთს იყიდიან. ჩვენი არაფერი დარჩება. ჩამოდით, დაისვენეთ, სულ არაა საჭირო არაფრის ყიდვა“, — ამბობენ ისინი.

საკურორტო სოხუმში ცხოვრება ჩერდება 23.00-ზე. არაფერი მუშაობს, ფანჯრებში არ ანთია სინათლე, მხოლოდ ძალიან მაგარი მანქანები (ისინი ძალიან ბევრია სოხუმში) დაქრიან წარმოუდგენელი სიჩქარით, ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე.

— აქ არ ღირს სეირნობა ღამით. შეუძლიათ, მოგიტაცონ, თუ მოეწონები, თუ წყვილი დასეირნობს ხელჩაკიდებული — შეიძლება, ვინმემ სცემოს კიდეც, იმიტომ, რომ აქ ასე სიარული არ შეიძლება. შეიძლება, გაგძარცვონ, თანაც არა მხოლოდ ღამით. ჩემი ნაცნობების მანქანა გაძარცვეს ბიჭვინთაში, დღისით, მზისით, — ამბობს მოსკოველი დამსვენებელი.

## საბჭოთა ნოსტალგია

**25 წლის მანძილზე აფხაზეთში არაფერი შეცვლილა, იმის გარდა, რომ მთავრობის შენობა დღემდე დანგრეული, სარკინიგზო ვაგზალი კი, რომელიც საერთოდ არ დაზიანდა ომის დროს, დღემდე სრულიად გაპარტახებულია.**

25 წლის მანძილზე თითქმის არაფერი აშენებულა — ეს მაშინ, როდესაც რუსეთმა 2008 წლიდან გამოუყო აფხაზეთს 37 მლრდ. რუბლი. თანაც ტურისტები ასე თუ ისე ჩამოდიან, რაღაც მოგება რჩებათ. ბოლოს და ბოლოს, შეიძლებოდა ჭიშკრების შეღებვა და შუშების ჩასმა.

„აი, საბჭოთა დროში მაგრად ვცხოვრობდით“, — ამბობენ აფხაზები.

არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში არ მსმენია ყოფილი იმპერიის ასეთი ხშირი ხსენება. აქ მოსახლეობა აშკარად ცხოვრობს იმ დროში, როდესაც აფხაზეთი იყო საოცნებო ადგილი ყველა საბჭოელისთვის.

აფხაზებს მტკიცედ სწამთ, რომ დღესაც ასეა. ძველი დიდების ნარჩენები დღესაც იზიდავს იმ ტურისტებს, რომლებიც არ არიან განებივრებულები კომფორტით და სერვისით.

ისე კი, ბუნება აქ მართლაც ლამაზია. ძალიან ლამაზია...

„КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА“





# 10 ქვეყანა, სადაც საქართველოს ტურიზმის მარკეტინგი უნდა გაძლიერდეს

**გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობის კოორდინატორის ბექა ჯაყელის აზრით, საქართველომ რამდენიმე წელზე გათვლილი მარკეტინგული ტაქტიკა უნდა განსაზღვროს და მარკეტინგული კამპანიების ბიუჯეტი 10 შორეული, მაგრამ მაღალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის უნდა გაზარდოს.**

მისი თქმით, ეს ქვეყნებია: აშშ, კანადა, ჩინეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა, ინდოეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და იტალია.

Bm.ge-ისთან საუბარში ბექა ჯაყელმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ საჭიროა, GULF-ის ქვეყნებთან მუშაობის გაძლიერებაც.

**„თუ სახელმწიფო შეძლებს ბაზრების დივერსიფიცირებას, გაიზრდება ამ ქვეყნების ხვედრითი წილიც, მაგრამ პირველ შედეგებს სერიოზული ზრდის კუთხით, სახელმწიფო 3-5 წელიწადში ნახავს, ოღონდ, რა თქმა უნდა, გაზრილი მარკეტინგული აქტივობების პირობებში. ამ ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების დანახარჯები საშუალოდ 3-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე მეზობელი ქვეყნებიდან. გარდა ამისა, ამ ქვეყნების მოქალაქეები გამოირჩევიან მოგზაურობის მაღალი ეთიკური და კულტურული ღირებულებებით“,** — განაცხადა ბექა ჯაყელმა.

ამასთან, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობის კოორდინატორმა ისიც აღნიშნა, რომ საერთაშორისო ტენდენციით, დღესდღეობით, მსოფლიოში 5-დან 4 საერთაშორისო ტურისტი მოგზაურობს იმავე რეგიონში.

**„ანუ ის, რომ საქართველოს 4 მეზობელი ქვეყანა ყოველთვის ან დიდი ხნის განმავლობაში დომინანტი იქნება საერთაშორისო ჩამოსვლებში, სრულიად მოსალოდნელი და გასაგებია. ბუნებრივია, მოთხოვნის შესაბამისად თუ გაიზრდება მეზობელი ქვეყნებიდან ტურისტული ვიზიტები, კარგია, რადგან უფრო მეტი დანახარჯი იქნება“,** — განაცხადა ბექა ჯაყელმა.

# ქობულეთის სანაპირო ზოლში ინფრასტრუქტურა განახლდა

**როგორც ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში განმარტავენ, ქალაქში გაუმჯობესდა ტურისტული ინფრასტრუქტურა, სანაპირო ზოლში მოეწყო ბულვარი მოპირკეთებული სასეირნო ზოლითა და ველობილიკებით, გაშენდა მწვანე ზოლი.**

სანაპირო ზოლში სასტუმრო „კოლხეთიდან“ ფიჭვნარის მიმართულებით 2 კილომეტრამდე მონაკვეთზე მოეწყო ახალი ჯებირი, გარეგანათებები და მოწესრიგდა სავალი ნაწილი. ქალაქში მიმდინარეობს რამდენიმე მნიშვნელოვანი და დიდი ინვესტიცია, მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსების მშენებლობა. მათ შორისაა სასტუმრო „კრისტალი“, „ალიანს ჯგუფის“ პროექტი, ჩეხური ინვესტიცია ელ&ერ-ი და სხვა. აქტიურად მიმდინარეობს დაცულ ტერიტორიებამდე მისასვლელი ადმინისტრაციული ცენტრების მოწყობა.



**„მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტის სახით დაიწყო ახალი ზღვისპირა პარკის მოწყობა. 450 მეტრი წელს იქნა დასრულებული ტურისტულ სეზონამდე. პროექტი გაგრძელდება და დასრულებული იქნება 850-მეტრიანი მონაკვეთი“,** — აცხადებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი **მირიან ქათამაძე.**

# განახლებული პეტრას ციხე ტურისტებს გააკვირვებს

**აჭარის მთავრობა პეტრას ციხის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტს იწყებს. საწყის ეტაპზე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდება, რათა პეტრას ციხის დამთვალიერებლებს ადგილზე, გარდა პანორამული ხედებისა, გასართობი და მოსასვენებელი ადგილებიც დახვდეს.**

პეტრას ციხეზე ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი მოიცავს მუზეუმის მშენებლობას, ლიმონარიუმის, სასეირნო ბილიკების, კაფე-ბარებისა და პარკინგის მოწყობას. ლიმონარიუმში დაგეგმილია სუვენირების მაღაზიების გახსნაც.

პროექტი 2 წელზეა გათვლილი, რომლის ფარგლებშიც ბიუჯეტიდან 1.7 მლნ ლარი იქნება დახარჯული.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე პეტრას ციხის ტერიტორიაზე შესვლა ვიზიტორებისთვის უფასოა, თუმცა რეაბილიტაციის შემდეგ ის ფასიანი გახდება. ასევე, ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას პეტრას ციხე დამთვალიერებლებისათვის ჩაკეტილი იქნება, რაც უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარეობს.

საქართველო ციხე-ქალაქების სიმრავლით განებივრებული არ არის. ამ მხრივ კი შეგვიძლია აჭარა გამოვყოთ, სადაც გონიოს ციხე და პეტრას ციხეა განთავსებული, რაც საინტერესო ტურისტული მიმართულებებია. პეტრას ციხე მეექვსე საუკუნის ბიზანტიური ძეგლია და გამოირჩევა თავისი არქიტექტურითა და მდებარეობით. პეტრას ნახევარი კლდეზეა განლაგებული, საიდანაც ძალიან ლამაზი ხედები იშლება...



# ადამიანზე დიდი ზომის მედუზა



**ლიზი დეილი ბრიტანეთში, კორნუოლის სანაპიროსთან ყვინთავდა, როცა შორიახლო რაღაც უზარმაზარი შენიშნა. დიდი ზომის მედუზა მას წარსულშიც ჰყავდა ნანახი, მაგრამ ამხელა არასდროს.**

დეილი ბიოლოგი და ტელეწამყვანია. გიგანტურ მედუზასთან შეხვედრის კადრები მისმა ოპერატორმა დენ აბოტმა გადაიღო.

ისინი ბუნების დაცვის სპეციალური კამპანიის ფარგლებში ყვინთავდნენ, სანაპიროს სიახლოვის ბინადარი სახეობების აღნუსხვის მიზნით.

**„ამ ზომის მედუზა ცხოვრებაში არასოდეს მენახა**“, — ამბობს ოპერატორი, რომელმაც კამერა სასწრაფოდ მიმართა გიგანტური ქმნილებისკენ და გადაღება დაიწყო.

ამ სახეობის მედუზები (Rhizostoma pulmo) დაბადებისას სიგრძეში სულ რაღაც მილიმეტრი არიან, შემდეგ კი ასეთ გიგანტურ ზომებამდე იზრდებიან. მათი მსუსხავი უჯრედები უფრო კომპაქტურია, ვიდრე სხვა, გრძელი საცეცების მქონე მედუზებისა.

დეილის თქმით, მას სულაც არ შეშინებია გიგანტურ ქმნილებასთან მიახლოება და იმედოვნებს, რომ ეს ვიდეო სხვებსაც მოჰგვრის ოკეანით აღფრთოვანებას.

# კალიფორნიის სანაპიროსთან ასობით დელფინი გამოჩნდა



**ვიდეო ამერიკელმა ჩაკ პეტერსონმა გემიდან გადაიღო. დელფინების ვიდეომ, რომელიც პეტერსონმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა, ათასობით მომხმარებლის მოწონება და აღტაცება დაიმსახურა.**

**„ველური ზღვის ცხენები. ამ საოცარი სანახაობის მოწმე ლაგუნა ბიჩის სანაპიროსთან გავხდი. დედაბუნების სასწაულები იმედგაცრუებულებს არასდროს გვტოვებს“,** — წერს ჩაკ პეტერსონი ფეისბუქზე.

# ნახევარი საუკუნის წინათ



**50 წლის წინათ 16 ივლისს ამერიკულმა კოსმოსურმა მისიამ „აპოლონ 11“-მა სტარტი აიღო.**

1969 წელს, სწორედ ამ დღეს, ფლორიდაში, კენედის სახელობის კოსმოსური ცენტრიდან „აპოლონ 11“ მისია ასტრონომ ნილ არმსტრონგთან ერთად დაიწყო.

ოთხი დღის შემდეგ ნილ არმსტრონგი გახდა კაცობრიობის ისტორიაში პირველი ადამიანი, რომელმაც მთვარეზე ფეხი დააბიჯა და ისტორიული სიტყვები წარმოთქვა „ეს პატარა ნაბიჯია ადამიანისთვის, მაგრამ დიდი ნახტომი კაცობრიობისთვის“.

# რატომ უნდა ვჭამოთ მწერები

**მეცნიერებმა ახსნეს, თუ რატომ უნდა ჭამონ ადამიანებმა მწერები. ამ თემაზე ვრცელ სტატიას** Frontiers in Nutrition **აქვეყნებს.**

დიეტოლოგების შეფასებით, კალიების და ჭიანჭველების სხეულში დიდი რაოდენობითაა ანტიტოქსინები და სხვა სასარგებლო ნივთიერებები.

გამოცემის ცნობით, მეცნიერები აცხადებენ, რომ მწერებით ადამიანს შეუძლია ხორცი ჩაანაცვლოს.



**„ყველა აცნობიერებს, რომ სამომავლოდ, მწერები ადამიანისთვის ცილის მიწოდების წყარო გახდება. ასევე მწერები შეიცავენ მჟავებს, მინერალებს, ვიტამინებს, ანტიოქსიდანტებს“,** — აცხადებს იტალიაში ტერამოს უნივერსიტეტის პროფესორი **მაურო სერაფინი.**

◉ არის, ასრულდა ოცნება!..

# ეს მიღწევაა საქართველოსი!

**ეს ფაქტი მნიშვნელოვანწილად სცილდება სპორტული მოვლენის ჩარჩოებს.**

დიახ, 2021 წლის აგვისტოში თბილისი ევრობასკეტს უმასპინძლებს, რაც თავისთავად უკვე მთელი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის აღიარება და დაფასებაა.

ბუნებრივია, ფიბა-ევროპის მიერ ასეთი ნდობის გამოცხადება თავისთავად ქართული სპორტული და, კონკრეტულად, კალათბურთის საამაყო ტრადიციებისთვის ანგარიშის გაწევასაც ნიშნავს, მაგრამ არანაკლებ გასათვალისწინებელია ჩვენი ხელისუფლების ფაქტორიც, რომელიც მომავალი ფორუმის უმაღლეს დონეზე მიღების ვალდებულებას კისრულობს.

ცალკე აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია მიუნხენში, ფიბა-ევროპის ბორდის წინაშე პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილის** მიერ წარმოთქმული საპრეზენტაციო სიტყვა, რომელმაც ძალაუნებურად ახლო წარსულის გახმაურებული ისტორია გაგვახსენა.




როგორც მოგეხსენებათ, სოჭისთვის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლების მინიჭება რუსეთის თავკაც ვლადიმერ პუტინის სახელს უკავშირდება, რომელიც კენჭისყრამდე რამდენიმე საათით ადრე ჩაფრინდა გვატემალაში და სოკ-ის კონგრესის დელეგატებს, რომ იტყვიან, გამარჯვება კბილებით გამოგლიჯა.

შეიძლება, მასშტაბებით ბავარიის დედაქალაქში განხორციელებული ძლევაი საკვირველი ჩამოუვარდება ზემოთნახსენებ ამბავს, მაგრამ შედარება ნამდვილად შეიძლება — ქართულმა დელეგაციამ ხომ სლოვენიის, უნგრეთისა და ესტონეთის განაცხადები დატოვა თამაშგარე მდგომარეობაში.

აღარაფერს ვამბობთ ისეთ სოლიდურ კამპანიასთან ერთად თანამასპინძლობაზე, როგორიცაა „დავარცხნილი“ დასავლეთევროპული გიგანტები — გერმანია, იტალია და ჩეხეთი, რაც საფუძვლიანად დააჩქარებს მასთან კავკასიური ცივილიზაციის ინტეგრაციის პროცესს.

რაც შეეხება წმინდა სპორტულ მხარეს, დიღომში ახალი, მრავალფუნქციური 15-ათასიანი დარბაზი აშენდება,




რომელმაც ყველა სტანდარტი უნდა დააკმაყოფილოს. სწორედ იქ გაიმართება თბილისური 6-გუნდა ჯგუფის შეხვედრები, ფინალურ ბლოკს კი, სატიტულო მატჩის ჩათვლით, რომელიც 29 აგვისტოსაა დანიშნული, გერმანია უმასპინძლებს.

დაბოლოს, საქართველოს დედაქალაქმა 1965 წელს მოსკოვთან ერთად უკვე დააჭაშნიკა კონტინენტური ბატალიები, ხოლო ამჯერად, როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი, ჩვენი ეროვნული ნაკრები თავისუფალია შესარჩევი ტურნირისგან და ავტომატურადაა, თანაც ზედიზედ მეხუთედ, დაშვებული ევრობასკეტის დასკვნით რაუნდში.

გილოცავთ, თანამემამულენო!

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ლეგიონერი

# ეს ერთი და სხვა მრავალი

**15 ივლისი არასდროს დაავიწყდება ხვიჩა კვარაცხელიას.**

საუბარია ყაზანის „რუბინის“ ქართველი ლეგიონერის მიერ მისი ყოფილი კლუბის — მოსკოვის „ლოკომოტივის“ კარში ზუსტი თავური დარტყმით გატანილ სადებიუტო საპასუხო გოლზე, რომელმაც თათრეთის დედაქალაქის გუნდს რუსეთის ჩემპიონატის სასტარტო ტურში პირველი ქულა მოუტანა — 1:1.



აღსანიშნავია, რომ ჩერქიზოვოში გამართულ შეხვედრაში ვეტერანი ფეხბურთელის — ბადრი კვარაცხელიას ვაჟი 66-ე წუთზე თანამემამულე ზურაბ დავითაშვილის ნაცვლად ჩაება და საწადელს 10 წუთში მიაღწია, თუმცა, გასაგები მიზეზის გამო ემოციები არ გამოუხატავს.

ისიც სათქმელია, რომ პირველ ტაიმში რკინიგზელებმა პენალტი ვერ გამოიყენეს, ხოლო მასპინძელთა დაცვის ტრავმირებული ბურჯი საბა კვირკველია და სტუმართა კიდევ ერთი ჩვენებური ახალწვეული ბექა მიქელთაძე, მართალია, მატჩისწინა განაცხადში კი მოხვდნენ, მაგრამ თავის გამოჩენის საშუალება არ მისცემიათ.

რაც შეეხება დანარჩენ ფავორიტებს, „ზენიტმა“ და „სპარტაკმა“ შინ მძიმე გამარჯვებები მოიპოვეს, შესაბამისად, „ტამბოვთან“ — 2:1 და „სოჭთან“ — 1:0, ხოლო ცსკა და „კრასნოდარი“, შესაბამისად, „კრილიასთან“ — 0:2 და „ახმატთან“ — 0:1 დამარცხდნენ.

**გიორგი შოთაძე**

◉ სახელი

# სწორუპოვარი მოჭიდავე



**საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ კარგად არის ცნობილი ჩვენს მოჭიდავეთა თვალსაჩინო წარმატებები. ვახტანგ ბლაგიძე ფალავანთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი გახლავთ, რომელმაც თავისი მუხლჩაუხრელი შრომით და სპორტის დიდი სიყვარულით ღირსეული ადგილი დაიკავა მსოფლიო ჭიდაობის ისტორიაში.**

იგი ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში 1954 წლის 23 ივლისს დაიბადა. ოჯახში სამი ვაჟი იზრდებოდა. უმცროსი ვახტანგი 4 წლის იყო, როცა მამა გარდაეცვალა და ოჯახის დიდი ტვირთის ზიდვა დედამ თავის უფროს ვაჟთან ზაურისთან ერთად ითავა, როცა იქვე კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა, ხოლო შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად სოფელ ბაილეთში გადავიდა.

ერთ დღეს კულტურის სახლში რაიონული პირველობა ტარდებოდა და პატარა ვახტანგმა თანასოფლელ გონერი ჩხარტიშვილს სთხოვა ჭიდაობაზე წაეყვანა, შემდეგ თანასოფლელ ჯემალ მეგრელიშვილის რჩევით კი ჭიდაობის სექციაში ჩაეწერა. თუმცა, მას გადაწყვეტილება არ მოუწონეს, რადგან ოჯახს მატერიალურად ძალიან უჭირდა. მაგრამ, როცა 1970 წელს ვახტანგი რაიონის ჩემპიონი გახდა, უფროსმა ძმებმა აზრი შეიცვალეს. პირად საუბარში ბევრჯერ უთქვამს დიმიტრი კუპრაძის დამსახურებაზე, რომელმაც ჭიდაობის ფორმა აჩუქა და პირველი ნაბიჯის გადადგმაში დაეხმარა. პირველი სერიოზული წარმატება 1971 წელს ცხინვალში ჩატარებული რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონობა იყო. იმავე წელს საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა დავით დავითაიამ საქართველოს ნაკრებში გამოიძახა. შემდეგ იყო 1977 წლის მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონობა.

1978 წელი განსაკუთრებული გამოდგა ვახტანგ ბლაგიძის კარიერაში — იგი პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი, რომელსაც ნორვეგიის დედაქალაქმა ოსლომ უმასპინძლა, მის სწრაფ გამარჯვებებს აღფრთოვანებაში მოჰყავდა ჭიდაობის სამყაროს წარმომადგენლები. ბლაგიძემ ფინალში ევროპის ორგზის ჩემპიონი, რუმინელი ჯინგა 9:2 დაამარცხა. ამ გამარჯვებამ მას ავტომატურად გაუხსნა გზა მსოფლიო ჩემპიონატისკენ, რომელსაც მექსიკა მასპინძლობდა. სტარტზე მოულოდნელად დამარცხდა ბულგარელ ნიკოლა ბორისოვთან, თუმცა, ფინალისკენ სავალი გზა ერთი ამოსუნთქვით გაიარა, სადაც ისევ რუმინელ ჯინგას დაუპირისპირდა. ამ გამარჯვებით მას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.

ახლოვდებოდა 1980 წლის ოლიმპიური თამაშები. გამგზავრებამდე მან მახარაძეში (ახლანდელი ოზურგეთი) ოჯახის წევრთა და ახლობელთა მონახულება გადაწყვიტა. „ერთი დღით ადრე დედა გაუჩინარდა და მხოლოდ გვიან საღამოს დაბრუნდა, თან დაგვამშვიდა, შემოქმედის ეკლესიაში სალოცავად წავედიო. დაამატა, წუხელ სიზმარი ვნახე და გამარჯვებული მილოცვებს იღებდი. როცა ჩემპიონი გახდები, პირჯვარი გადაიწერე და ღმერთს მადლობა უთხარიო“. სწორედ ეს პირჯვარი გახდა გარკვეული დაბრკოლება მისი აღიარებისთვის, რადგან იგი კომუნისტურად შეაჩვენეს. ხსენებულ მოსკოვის ოლიმპიადაზე მან ფინალში სარეკორდო ანგარიშით 19:1 დაამარცხა უნგრელი **ლაიოშ რაცი,** რაზეც სახელგანთქმულმა მინსკელმა მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონმა **ალექსანდრე მედვედმა** განაცხადა: „ოლიმპიურ ფინალში ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით გამარჯვება ვახტანგის ფენომენურ ნიჭიერებაზე მიუთითებს“. შემდეგ იყო ევროპის 1980 წლის და მსოფლიოს 1981 წლის ჩემპიონობა. სპორტული კარიერა 1989 წელს დაასრულა.

დიდი პატივისცემით იხსენებს ოზურგეთელი უფროსი მეგობრის **იური სორიძის** გვერდზე დგომას. „1978 წელს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მოგების შემდეგ სანაქებო შეხვედრა მომიწყო, იმავე წელს ქორწილი გადამიხადა და გემრიელადაც ითამადა. კარგი ვაჟკაცი იყო ცხონებული. არეულობის წლებში ყაჩაღებს ავტობუსში შეებრძოლა, გახსნილ „ლიმონკას“ გადაეფარა და მგზავრების სიცოცხლე იხსნა, სადაც უმრავლესობა ბავშვები იყვნენ“.

სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ უშიშროების მაშინდელი უფროსის **ალექსი ინაურის** დახმარებით საბურთალოზე სამოთახიანი ბინა მიიღო, მაგრამ სოფელში გაზრდილი კორპუსში ცხოვრებას ვერ შეეგუა და გორგასალზე ეზოიანი სახლი იყიდა. მართალია, მიწისძვრის დროს სახლს კედლები დაუზიანდა და უმუშევრად დარჩენილს ძალიან გაუჭირდა, მაგრამ არავის არ ემლიქვნელება, რაც ჩვენთან ლამის ცხოვრების წესად გაიხადეს.

ცნობილ ბულგარელ მოჭიდავეს **იან დიმოვს** ვახტანგ ბლაგიძეზე ნათქვამი აქვს: „მის სახეზე ღიმილს იშვიათად დაინახავ, წყნარი და გაუცინარია ჭიდაობის ლეგენდა“. ეტყობა, ცხოვრებამ ღიმილი დაავიწყა, მაგრამ თავი მაინც ღირსეულად უჭირავს. უფლის წყალობით ცხოვრობს მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად.



სახელოვან მოჭიდავეს, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერს 65 წელი უსრულდება. ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ტკბილ სიბერეს ვუსურვებ თავის ოჯახთან ერთად.

**ბეჟან ჩხეიძე**
**ზესტაფონიდან, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე**

# ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №1** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება – ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი – ლიცენზიის მფლობელის მიერ, მისი ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.<br>ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის კედლების ამოშენება, მოპირკეთება, თავმორთულობის მოწყობა-მოწესრიგება და შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვაბზუს ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 500 $м^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. დვაბზუს ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 16 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1.6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 208 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 19 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №2** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება – ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი – ლიცენზიის მფლობელის მიერ, მისი ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.<br>ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილების თავმორთულობის მოწყობა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ფოთი, მოწერელიას ქუჩა, N31, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა (ორივე ჭაბურღილზე ერთად) – 4 500 $м^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ფოთი, მოწერელიას ქუჩა, N31 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 75 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 7.5 ლარი |

№ 143. ოთხშაბათი, 17 ივლისი, 2019 წელი.

| | | |
|---|---|---|
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 238 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 19 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №3**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება – ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი – ლიცენზიის მფლობელის მიერ, მისი ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.<br>ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწყობა, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და 1 მეტრის რადიუსზე დაბეტონება.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლესას ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1800 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლესას ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 45 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 4.5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 223 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 19 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №4**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება – ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი – ლიცენზიის მფლობელის მიერ, მისი ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.<br>ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილების თავმორთულობის მოწყობა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით |

| | | |
|---|---|---|
| | | სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | აბაშის მუნიციპალიტეტი, მასივი ანჯელის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა (ორივე ჭაბურღილზე ერთად) – 1 000 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | აბაშის მუნიციპალიტეტი, მასივი ანჯელის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 17 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1.7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 209 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 19 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №5**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბალისაკენ, მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2019 წლის 10 ივლისის N2-03/9342 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს ინვესტორს ნამახვანის კასკადის პროექტის განხორციელებაში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>ზ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი არ შეუზღუდავს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფას.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ლ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, |

| | | |
|---|---|---|
| | | სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>მ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი არ უნდა ჩაიყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე გამავალი მდინარის კალაპოტში, უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ნ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>პ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, „საქართველოს ტყის კოდექსით“, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ჟონეთის მიმდებარე ტერიტორია, „ჟონეთის“ პორფირიტების (სხვა საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 46 380 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ჟონეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 518 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 651.8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3459 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 19 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №6**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს. |

| | | |
|---|---|---|
| | | დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს საკუთრებაში არსებულ ხაზოვან ნაგებობასთან 15 (თხუთმეტი) მეტრზე ახლოს სამუშაოების წარმოების შემთხვევაში, ორი დღით ადრე დაუკავშირდეს კომპანიის წარმომადგენელს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, შემოვლითი გზებით და არა სოფლის საავტომობილო გზების მეშვეობით. ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ი) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>კ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ლ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი |
| | | კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხრანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსნის ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - A, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 15 450 მ$^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხრანის მიმდებარე ტერიტორია, |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 559 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე<br>(საწყისი ფასის 10 %) | 1255.9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 456 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 19 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის | 2 წელი |

| | | |
|---|---|---|
| | მოქმედების ვადა | |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №7** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>დ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფას.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო |
| | | მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>თ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ი) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>კ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. მამწვარას მიმდებარე ტერიტორია, „მამწვარას“ ბაზალტის (სხვა საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 990 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. მამწვარას მიმდებარე ტერიტორია |

| | | |
|---|---|---|
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 241 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე<br>(საწყისი ფასის 10 %) | 24.1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 321 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 19 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №8** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე, წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) საშუალოდ არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებული უზრუნველყოს |
| | | წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.<br>თ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები.<br>ი) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>კ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. |
| | | ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისყურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მაშავერას ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 18 840 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისყურის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 15 314 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე<br>(საწყისი ფასის 10 %) | 1 531.4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 731 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 19 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №9** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტს 2019 წლის 24 აპრილის №2-03/4971 წერილით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ზ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და |

| | | |
|---|---|---|
| | | ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ი) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ლ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. თონეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ალგეთის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 1 100 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. თონეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 957 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 95.7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 296 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 19 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №10** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ობიექტის ტერიტორიაზე დამუშავების პროცესში წარმოქმნილ ქვაბულებს ჩაუტაროს თანადროული და ეტაპობრივი რეკულტივაცია, ხოლო ქვაბულებში წყლის ჩადგომის შემთხვევაში, უზრუნველყოს წყლის დაწრეტვა სადრენაჟო არხებით ან სხვა მეთოდით;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესში უზრუნველყოს საქართველოს არანაკლებ 30 (ოცდაათი) მოქალაქის დასაქმება;<br>დ) ლიცენზიის მფლოებელი ვალდებულია ლიცენზიის ვადის გასვლის შემდგომ უზრუნველყოს სალიცენზიო ტერიტორიაზე სარეკულტივაციო და გამწვანებითი სამუშაოების განხორციერლება;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 7 ივნისის N5747/01 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის |

| | | |
|---|---|---|
| | | პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია. ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.<br>ი) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება. გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>კ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>მ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>ნ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფას.<br>ო) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", „წყლის შესაქხებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური |
| | | ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ჟ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით მათ შორის საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით განსაზღვრული პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქ თბილისის (უბანი ფონიჭალა) ტერიტორია, მდ. მტკვართან „ფონიჭალის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა ორივე უბანზე ერთად) - 115 845 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქ თბილისის (უბანი ფონიჭალა) ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 100 735 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 10 073,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 10 274 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 19 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 17 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

# ესეც დიდი შეღავათია



**საათნახევრის განმავლობაში უფასოდ მგზავრობა მეტროსა და ავტობუსის გარდა, მიკროავტობუსებითაც იქნება შესაძლებელი, — ამის შესახებ თბილისის ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.**

მისივე თქმით, ეს არის დაახლოებით ორწლიანი რეფორმა, რომელიც ახალი სისტემით მუშაობას დაახლოებით 2021 წლის ზაფხულში დაიწყებს.

„ავტობუსებსა და მეტროში არის ინტეგრირებული გადახდის სისტემა, რაც ნიშნავს, რომ მაგალითად, მგზავრმა ავტობუსში გადაიხადა ბილეთის საფასური, საათნახევარი გადაჯდომის შემთხვევაში, მეტროში აღარ იხდის მგზავრი.

საათნახევრიან უფასო გადაჯდომაში ჩაერთვება ასევე მიკროავტობუსებიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი გადახდით უკვე სამი სახეობის საზოგადოებრივ ტრანსპორტში შევძლებთ მგზავრობას. ეს არის დაახლოებით ორწლიანი რეფორმა, რომელიც 2021 წლის ზაფხულში უკვე ახალი სისტემით დაიწყებს მუშაობას. დეტალური გაანგარიშება ჯერ არ არის გაკეთებული, მაგრამ შემიძლია გითხრათ ერთადერთი რამ, საზოგადოებრივ ტრანსპორტში დღეს რა თანხაც იკრიბება მგზავრებიდან, იგივე თანხა მოიკრიბება მომავალშიც, არ მოხდება უფრო მეტი თანხის ამოღება მგზავრებიდან, ვიდრე ეს ხდება დღეს“, — განაცხადა ირაკლი ხმალაძემ.

# რა სარგებელს მოუტანს დედამიწას 1.3 ტრილიონი ხის დარგვა?!

**თუ კაცობრიობა უახლოეს წლებში მასობრივად დაიწყებს ხეების დარგვას, ატმოსფეროდან უდიდესი რაოდენობით სათბური გაზის გადინებას შეუწყობს ხელს. საუბარია 4.4 მილიარდ ჰექტარზე 1.3 ტრილიონი ხის დარგვასთან დაკავშირებით. ამის შესახებ ინფორმაციას ჟურნალი Science-ი ავრცელებს.**

ციურიხის უნივერსიტეტის მეცნიერმა ტომას კრაუტერმა და მისმა კოლეგებმა განაცხადეს, რომ 1.3 ტრილიონი ხის დარგვის შემთხვევაში, 10 წლის განმავლობაში იქნება შესაძლებელი ატმოსფეროში არსებული ნახშირორჟანგის გაუვნებელყოფა.



თუმცა პრობლემა ის არის, რომ დედამიწაზე ხეების მასიური დარგვისთვის თავისუფალი ადგილები არც ისე ბევრია, ვინაიდან მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რაოდენობის ზრდასაც გულისხმობს.

თუკი პლანეტაზე არსებულ მიწებს გამოვაკლებთ დასახლებულ ადგილებს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებსა და ტყეებს, ხეების დარგვისთვის დაახლოებით 1 მილიარდ ჰექტარზე ნაკლები ფართობი რჩება, სადაც ხეების დარგვაა შესაძლებელი.

ციურიხის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა Google Earth Engine-ის დახმარებით მიახლოებით დაითვალა და განაცხადა, რომ დედამიწაზე დღეს 1,7-1,8 მილიარდი ჰექტარია, რომელიც დაფარულია იშვიათი მცენარეული საფარით ან საერთოდ არაფრით. თუ ამ ფართობზე მოხერხდება საჭირო ხეების დარგვა, მაშინ ჩვენს პლანეტაზე დამატებით 0.9 მილიარდი ჰექტარის ფართობის ტყე გაჩნდება, რომელიც 200 გიგატონის მოცულობით ნახშირორჟანგის შთანთქმას შეძლებს.

ამასთან, მეცნიერები ამბობენ, რომ ამ ციფრის კიდევ უფრო ზრდა არის შესაძლებელი, თუ ადამიანები მცირეოდენ სასოფლო მიწებსა და ქალაქის ტერიტორიებს დათმობენ.

IMEDINEWS

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს შპს „ფრატელი გროუპის" საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ფრატელი გროუპი" (ს/ნ 212886572), ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის II შეს. №11ბ.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ქუთაისი, ა. წერეთლის ქ. №186 (ყოფ. №168), (ნაკვ. №1) (საკადასტრო კოდი: 03.06.21.368).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:**
- უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
- უძრავ ნივთის ნაწილზე – 271.13 კვ.მ.-ზე რეგისტრირებულია ქირავნობის ხელშეკრულება, ქირავნობის ვადა განსაზღვრულია 2020 წლის 31 იანვრამდე.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 276502.65 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ-ის თანხა შეადგენს 42178.37 ლარს).
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 15 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 26 ივლისი, 13:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP61325619;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 613256

6. **მოვალე:** დავით ახვლედიანი (პ/ნ 60002012918), ქ. ქუთაისი, ს. ხუნდაძის 59, ბინა №31;
ნატალია დვალიშვილი (პ/ნ 60001098622), ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპ. 25ა, ბინა №81;
ანა საღარაძე (პ/ნ 01005043345), თბილისი, გოგი დოლიძის ქ. №19;
მაია დვალიშვილი (პ/ნ 60001143693), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ვაჟა დვალიშვილი (პ/ნ 60001147013), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ბორის კუხალაშვილი (პ/ნ 60001075450), ქ. ქუთაისი, ბ. ბუკიას ქ. №3, ბინა 18;
მაია ებანოიძე (პ/ნ 01008003492), თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 70, ბინა 13;
შპს „ფრატელი გროუპი" (ს/ნ 212886572), ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის II შეს. №11ბ
გოჩა დვალიშვილი (პ/ნ 60001000244), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს "ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს "ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს "თიბისი ბანკი",ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP61325619; ლოტის ნომერი: 613256).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 26 ივლისის 10:00 საათამდე.

ერიჰა!

# ჩინური „ფოკუსები“



ხელოვნური კვერცხი

**საკვების ფალსიფიცირების მაგალითებსა და გაყალბებული სურსათის გამოცნობის ხერხებზე არაერთხელ დაგვიწერია. ამ ჯერზე გთავაზობთ რამდენიმე შემთხვევის აღწერას, რომლებიც ამ მხრივ „მსოფლიო ჩემპიონ“ ჩინეთში მოხდა, სადაც საკვების ფალსიფიცირებას სრულიად უნიკალურად ახერხებენ.**

— ამ მხრივ ყველაზე გახმაურებული სკანდალი ცისქვეშეთში ხორცთან დაკავშირებით მოხდა: იქ ცხვრის ხორცის მაგივრად ვირთაგვებისა და მელიების ხორცს ყიდდნენ, როცა დამნაშავეები დააკავეს, მათ უკვე ორი მილიონი დოლარის „ბატკნის“ ხორცის გაყიდვა მოასწრეს.

— კვერცხს ჩინეთში იატაკქვეშა საამქროებში „ამზადებენ“: შიგთავსი ჟელატინისგან და მღებავისგან კეთდება, ნაჭუჭი კი — კალციუმის კარბონატიდან.

— ქუჩის სავაჭრო ობიექტებში „ხორციან“ ღვეზელებში, ხორცის მაგივრად ქიმიკატებში დამბალ მუყაოს ხმარობენ, რომელსაც სანელებლებს უმატებენ.

— კიდევ ერთი სკანდალი საკვებთან დაკავშირებით ჩინეთის ქალაქ დუნგუანში ქვეყნის სამხრეთში ტონობით გაყიდვას უკავშირდება, რომელიც დამპალი ბრინჯისგან იყო დამზადებული.

— ყველა სიკეთესთან ერთად, ჩინეთში ბრინჯსაც აყალბებენ. მას კარტოფილისა და პლასტიკატისგან „კრავენ“. თუკი კაცი ერთ თეფშ ასეთ ბრინჯს შეჭამს, თავისუფლად შეუძლია თავი ისე იგრძნოს, თითქოს კუჭში მოზრდილი პლასტმასის პარკი აქვს!

**ნინო ალექსანდრია**

პლასტმასის თოკები, რისგანაც შემდეგ ბრინჯი მზადდება



# ნიჭიერი შემოქმედის გახსენება სიღნაღში

**საქართველოს ეროვნული მუზეუმი სიღნაღში წარმოგიდგენთ ვალერიან სიდამონ-ერისთავის საიუბილეო-რეტროსპექტულ გამოფენას „ვალერიან სიდამონ-ერისთავი — 130“.**

ვალერიან სიდამონ-ერისთავი XX საუკუნის ქართული მხატვრობის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. მნიშვნელოვანია მისი როლი კინომხატვრობასა და თეატრის მხატვრობის სკოლის ჩამოყალიბებაში.

მისი შემოქმედება მოიცავს თეატრისა და კინოს მხატვრობის, ასევე, ხატწერის ნიმუშებს; შესრულებული აქვს შუა საუკუნეების ფრესკების ასლები; აფორმებდა მუზეუმის ექსპოზიციებსა და ალბომებს; შექმნილი აქვს ილუსტრაციები სხვადასხვა სახელმძღვანელოსთვის, მუშაობდა საგაზეთო კარიკატურასა და ავეჯის დიზაინზე.

საბჭოთა საქართველოში მისი შემოქმედების თემატიკას რეჟიმის იდეოლოგიური მოთხოვნები განსაზღვრავდა, თუმცა იგი სარკაზმნარევი ირონიით ახერხებდა, აესახა თანამედროვეობა. მხატვარი ქმნიდა ქალაქის ურბანულ ხედებს, სოფლის პეიზაჟებს, პორტრეტებს, ნიუს და სურათებს ისტორიულ სიუჟეტებზე.

სამწუხაროდ, ბევრი სხვა მხატვრის მსგავსად, ვ. სიდამონ-ერისთავს საბჭოთა კავშირში, XIX საუკუნის მიწურულის რუსული სკოლის ქართველ მიმბაძველად მიიჩნევდნენ. მისი შემოქმედების ექსპონირებისას ყველაზე აკადემიურ, ტიპურ ნამუშევრებს ირჩევდნენ, რამაც ხელი შეუწყო მისი მემკვიდრეობის ზედაპირულ გაგებასა და მივიწყებას.

მხატვრის დაბადებიდან 130 წლის იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ვ. სიდამონ-ერისთავის ცნობილი და ნაკლებად ცნობილი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, თეატრალური ესკიზები, შარჟები და კარიკატურები. გამოფენაზე ასევე იხილავთ საარქივო კადრებს მხატვრის მიერ გაფორმებული ფილმებიდან — „ჩემი ბებია“ (1929. რეჟ. კოტე მიქაბერიძე),



„სინათლე“ (1922. რეჟ. კ. ანდრონიკაშვილი), „გოგი რატიანი“ (1927. რეჟ. კოტე მარჯანიშვილი). ფილმი „გოგი რატიანი“ სცენოგრაფიასთან ერთად უნიკალურია იმითაც, რომ მასში ტიციან ტაბიძე და დიმიტრი შევარდნაძე მონაწილეობენ. ერთ-ერთ ეპიზოდში კი თავად სიდამონ-ერისთავი თამაშობს, იგი საკუთარ თავს — ფერწერის მასწავლებელს განასახიერებს. გამოფენაზე კინოკადრებთან ერთად თეატრის მხატვრობის ამსახველი ვიდეოკოლაჟიც იქნება წარმოდგენილი.






# „ცოცხალი წიგნები“ ლანჩხუთში

**ლანჩხუთმა განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს პროექტს, „ცოცხალი წიგნები“, უკვე მეხუთედ უმასპინძლა.**

პროექტის ხელმძღვანელი ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი ქეთევან დუმბაძეა. ლანჩხუთს მასთან ერთად სტუმრობდნენ ზაზა ბიბილაშვილი, ნიკა ლაშხია, როინ აბუსელიძე, ეკა კვიციანი, მანონ ბულესკირია, ხვიჩა ყალაბეგაშვილი, ბადრი სულაძე, გენრი დოლიძე, გიორგი კაკაბაძე.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე.

პოეტებმა თავიანთი შემოქმედება გააცნეს ლანჩხუთელებს. საღამოს არც ტაში აკლდა და არც ოვაციები.

**„დიდი მადლობა ლანჩხუთს ასეთი დახვედრისთვის. მიხარია, რომ გურია მუდამ აქტიურია და მუდამ ასეთი სითბოთი და სიყვარულით გვლებულობს. გასაკვირიც არაა, ეს ნოდარ დუმბაძის გურიაა“,** — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ქეთევან დუმბაძემ.

**„დიდი მადლობა ამ პროექტის ორგანიზატორებს, ქალბატონ ქეთევან დუმბაძეს, რომ ლანჩხუთელებს ასეთ დღესასწაულს გვჩუქნის და გვანებივრებს თანამედროვე მწერლებისა და პოეტების ხილვითა და მოსმენით“,** — დასძინა მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ პროექტი „ცოცხალი წიგნები“ საგანმანათლებლო პროექტია და მისი მიზანია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მკითხველებთან შეხვედრა, პოეზიის საღამოების გამართვა და დისკუსიების საინტერესო თემებზე. ამას გარდა, პროექტი ხელს უწყობს ადგილობრივი ნიჭიერი შემოქმედების გამოვლენას.





# ანაკლიის ფესტივალი ბიუჯეტიდან 2 559 600 ლარით ფინანსდება

**ანაკლიის ელექტრონული მუსიკის ფესტივალი** — Anaklia Echowaves **ბიუჯეტიდან 2 559 600 ლარით ფინანსდება.**

მთავრობის განკარგულების მიხედვით, თანხა პროექტ „ჩექ ინ ჯორჯიას“ (Check in Georgia) ფარგლებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირის — „შემოქმედებითი საქართველოს“ მიერ გამოიყოფა.

განკარგულებაში მითითებულია, რომ ფესტივალი ტურისტულად მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებაა.

ანაკლია ელექტრონული მუსიკის ფესტივალს წელს 22-25 აგვისტოს უმასპინძლებს. ფესტივალის სტუმრებს შორის არიან Nina Kraviz, Ben Klock, ROODHED და Adriatique.


## მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია:** №GE19TB7601536020100009.

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.8555; ევრო - 3.2210;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5862;
100 რუბლი - 4.5596; თურქული ლირა - 0.5000;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6804;
1000 სომხური დრამი - 5.9839.

**ამინდი 17 ივლისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +14, | დღე | +35 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე | +29 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე | +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე | +30 |
| თბილისი: | ღამე | +19, | დღე | +33 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge